



დასკვნა

„საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო
ბიუჯეტის შესახებ”

საქართველოს კანონის პროექტზე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

შინაარსი

დასკვნა.....	5
1. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის ზოგადი მიმოხილვა.....	9
2. მაკროეკონომიკური დაშვებები და ფისკალური დისციპლინა.....	11
2.1. მაკროეკონომიკური დაშვებები და კავშირი ფისკალურ პარამეტრებთან	11
2.2. ფისკალური წესები	14
2.3. მაკროეკონომიკური და ფისკალური რისკების ანალიზი	20
3. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	26
4. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები.....	28
4.1. კაპიტალური პროექტები.....	33
5. სახელმწიფო ვალი და მთავრობის ვალი.....	37
5.1. სახელმწიფო ვალი	37
5.2. მთავრობის ვალი.....	38
5.3. მთავრობის ვალის ფარგლებში მისაღები და დასაფარი ვალდებულებები	40
6. პროგრამული ბიუჯეტი.....	45

დასკვნა „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 39-ე მუხლისა და „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მოამზადა დასკვნა „2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 38-ე მუხლით განსაზღვრულია ის ინფორმაცია, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტი უნდა მოიცავდეს. ამავე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თან ერთვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი, ასევე თანდართული მასალები მოიცავს:

- სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორებისა და ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზებსა და მათ აღწერას; ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზებს და მათ აღწერას; ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული ძირითადი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ;
- მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას;
- წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს;
- დამატებით ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;
- ინფორმაციას სსიპ/ა(ა)იპ-ების მიერ საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი წყაროდან მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ;
- ინფორმაციას სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების მიერ საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი წყაროდან მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ;
- ინფორმაციას ფისკალური რისკების შესახებ;
- ინფორმაციას საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად შერჩეული და შეფასებული იმ საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შესახებ, რომელთა დასაწყებად ასიგნებები გათვალისწინებულია დასაგეგმი წლის ბიუჯეტში ან/და დასაგეგმის შემდგომი სამი წლის ფისკალურ მაჩვენებლებში;
- ინფორმაციას საგადასახადო დანახარჯების შესახებ.

მთავრობის პასუხისმგებლობა „2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 38-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელია „2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის, მისი თანდართული მასალებისა და ქვეყნის ძირითადი მიმართულებებისა და მონაცემების დოკუმენტის მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე საქართველოს

საბიუჯეტო კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის იმ დაშვებების განსაზღვრასა და განმარტებაზე, რომლებსაც „სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია ეყრდნობა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია მოამზადოს დასკვნა „2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ. დასკვნის მომზადება ემყარება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ შემოწმების პროცედურებს, რომლებიც წარიმართება მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის 3400 „პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის შემოწმება“ (ISAE 3400) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი ითვალისწინებს შემოწმების დაგეგმვასა და წარმართვას იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმის შესახებ:

- უზრუნველყოფენ თუ არა ის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური და სხვა დაშვებები, რომლებსაც ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია ეყრდნობა, აღნიშნული ინფორმაციის სათანადო საფუძველს;
- არის თუ არა ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია სათანადოდ მომზადებული არსებული დაშვებების საფუძველზე და კანონიერი მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით;
- არის თუ არა ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების არსებული პრინციპების შესაბამისად წარდგენილი, ხოლო ყველა არსებითი დაშვება ადეკვატურად განმარტებული თანდართულ მასალებში.

ჩატარებული შემოწმების პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ განსჯაზე დაყრდნობით. საყურადღებოა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების განაწილების შესახებ მთავრობის დისკრეციული გადაწყვეტილებების შეფასებას.

დასკვნა

2025 წლის განმავლობაში გაგრძელებული დადებითი ეკონომიკური ტენდენციების შედეგად 8 თვის საშუალო ეკონომიკურმა ზრდამ 7.9% შეადგინა. 2026 წლის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი კი 5%-ის დონეზეა განსაზღვრული.

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტით შემოსულობები 30.3 მლრდ ლარს, ხოლო გადასახდელები 30.5 მლრდ ლარს შეადგენს და 2025 წლის გეგმასთან შედარებით ორივე მაჩვენებელი იზრდება, შესაბამისად, 2.7 მლრდ ლარით და 2.5 მლრდ ლარით. შემოსულობების ზრდა ძირითადად განპირობებულია „შემოსავლების“ მუხლის 1.2 მლრდ ლარით ზრდით, ხოლო გადასახდელების - „ხარჯების“ მუხლის 1.3 მლრდ ლარით ზრდით.

რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ქვეყანაში ფისკალური დისციპლინის მდგრადობის უზრუნველყოფა და ფისკალური პოლიტიკის პასუხების სწორად განსაზღვრა. აქედან გამომდინარე, 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის შემდგომი განხილვის პროცესში, მიზანშეწონილია, გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი საკითხები:

- მიზანშეწონილია, გაგრძელდეს მუშაობა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციის შესაბამისად და „მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზის“ დოკუმენტში აისახოს ინფორმაცია იდენტიფიცირებული რისკების სხვადასხვა ხარისხითა და კომბინაციით მატერიალიზაციის ეკონომიკურ პარამეტრებზე პოტენციური გავლენის შესახებ, რაოდენობრივ ჭრილში;
- ასევე, მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტს ახლდეს ინფორმაცია სხვადასხვა ეკონომიკური სცენარის (ოპტიმისტური და პესიმისტური) რეალიზების შემთხვევაში ფისკალური პოლიტიკის შესაბამისი მოსალოდნელი პასუხების შესახებ;
- 2026 წლის ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი 2.5%-ის დონეზეა პროგნოზირებული და „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონით დადგენილი 3.0%-იანი ლიმიტის ფარგლებშია;
- საშუალოვადიან პერიოდში მზარდი სხვაობით ხასიათდება ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტისა და პირველადი ბალანსის მაჩვენებლები, რაც ერთიანი ბიუჯეტის საპროცენტო ხარჯების მზარდი დინამიკითაა გამოწვეული;
- კანონპროექტს არ ახლავს სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების მიერ მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ ინფორმაციის დანართი, რაც საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნაა;
- ფისკალურ პარამეტრებზე პოტენციური გავლენის მასშტაბის გათვალისწინებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების ჯეროვანი შესრულებისათვის, მნიშვნელოვანია, სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული საწარმოების მიერ დამატებითი ყურადღება გამახვილდეს ფინანსთა სამინისტროსთვის წარსადგენი ინფორმაციის სისრულისა და სიზუსტის გაუმჯობესების საკითხებზე საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე;
- ორგანული კანონით განსაზღვრული 60%-იანი ნიშნულის ფარგლებშია პროგნოზირებული ვალის წესის მიზნებისთვის დათვლილი მაჩვენებელიც, რომელიც 34.9%-ს უტოლდება;

- ვალის წესის მაჩვენებელში გათვალისწინებულია სამთავრობო სექტორის საწარმოების ვალდებულებები. ამავდროულად, მთავრობის ვალის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, სამთავრობო სექტორად დაკლასიფიცირებული საწარმოების მიერ ვალის აღების შესაძლებლობები დარეგულირდეს საკანონმდებლო დონეზე;
- სახელმწიფო ბიუჯეტის ფისკალური რისკების ძირითადი წყაროებია სახელმწიფოს საწარმოები, კვაზი-ფისკალური აქტივობები, PPP პროექტები, ბუნებრივი კატასტროფები, კლიმატური რისკები და სასამართლო დავები;
- 2024 წელს სახელმწიფო საწარმოთა ჯამურმა ზარალმა 138 მლნ ლარი შეადგინა. გასულ წლებში საწარმოების ფინანსურ შედეგებზე გაცვლითი კურსის გავლენის კლებადი დინამიკის მიუხედავად, საწარმოები კვლავ რჩებიან მოწყვლადები საგარეო ფაქტორების მიმართ;
- საყურადღებოა, რომ სახელმწიფო საწარმოთა აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილის დაფინანსების წყარო ვალდებულებებია, რაც სახელმწიფოს წინაშე არსებული ფისკალური რისკების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა;
- კანონპროექტზე თანდართულ „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია სახელმწიფო საწარმოების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების შესახებ არ მოიცავს „სხვა ხარჯების“ მუხლიდან მიღებული დაფინანსების შესახებ მონაცემებს;
- ფისკალური გამჭვირვალობის გაუმჯობესებისთვის, მიზანშეწონილია, სახელმწიფო საწარმოების მიერ (სექტორიზაციის გათვალისწინებით) სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების შესახებ დეტალური ინფორმაცია, დაფინანსების მიზნობრიობის ჩათვლით, წარმოდგენილი იყოს კანონპროექტის „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტში;
- მნიშვნელოვანი ფისკალური რისკები იჩენს თავს ქვეყანაში მოქმედ დეპოზიტების დაზღვევის სისტემაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტს დაემატოს ინფორმაცია დეპოზიტების დაზღვევის სისტემიდან მომდინარე პოტენციური რისკების შესახებ;
- დადებითად უნდა შეფასდეს, რომ ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია და „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტს დაამატა ინფორმაცია სასამართლო დავებიდან მომდინარე რისკებისა და გრძელვადიანი ფისკალური რისკების შესახებ;
- რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებს, მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების/ქვეპროგრამების ბიუჯეტების განსაზღვრის პროცესში მიზანშეწონილია, გათვალისწინებულ იქნეს გასული და მიმდინარე წლების შესრულების ტენდენციებიც, რათა დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის უზრუნველყოფილ იქნეს საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი გამოყენება და დაგეგმილი ასიგნებების სრულად ათვისება;
- საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, 2028 წლიდან საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის ფუნქციონალური კლასიფიკაციით განსაზღვრული განათლების სფეროს დაფინანსების მოცულობა უნდა იყოს დასაგეგმი წლისთვის პროგნოზირებული ნომინალური მშპ-ს მინიმუმ 6%. მოცემული მიზნის 2028 წელს მიღწევისთვის განათლების სფეროს დაფინანსების წლიური ზრდის ტემპი 2026-2028 წლებში საშუალოდ 24.9%-ს უნდა შეადგენდეს, რაც გამოწვევას წარმოადგენს;

- კანონპროექტით წარმოდგენილი პროგნოზით, 2026 წლის ნაერთი ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯების საპროგნოზო მაჩვენებელი 363 მლნ ლარით მცირდება და 7.6 მლრდ ლარს შეადგენს, რაც მშპ-ს საპროგნოზო მაჩვენებლის 6.9%-ია. საშუალოვადიან პერიოდში კაპიტალური ხარჯების მოცულობა მშპ-სთან მიმართებით შემცირების ტენდენციით ხასიათდება და 2029 წლისთვის 6.7%-ს უტოლდება;
- ქვეყანაში ოპტიმალური ფისკალური სივრცის არსებობის პარალელურად, მნიშვნელოვანია, კაპიტალური დანახარჯების სტაბილური დონის განსაზღვრა და შენარჩუნება, რასაც არსებითი გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალზე;
- 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტს დაემატა 5 ახალი კაპიტალური პროექტი, რომელთა ბიუჯეტი ჯამურად 248 მლნ ლარია. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის კანონპროექტთან ერთად წარმოდგენილი არაა აღნიშნული პროექტების PIM მეთოდოლოგიით ჩატარებული შეფასებები. მოცემული პროექტების მასშტაბურობისა და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, აღნიშნული შეფასებები თან დაერთოს კანონპროექტის გადამუშავებულ ვარიანტს;
- 2026 წლისთვის მთავრობის ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 38.6 მლრდ ლარის დონეზეა განსაზღვრული (მშპ-ს 34.9%), რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 3 მლრდ ლარით (8.3%-ით) აღემატება;
- დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია და მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის განახლება განახორციელა საშუალოვადიანი ბიუჯეტირების დოკუმენტებთან ერთად, უშუალოდ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის მომზადებამდე;
- კანონპროექტსა და მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიას შორის განსხვავებები ფიქსირდება ცალკეული მაჩვენებლების შემთხვევაში, როგორებიცაა საგარეო და საშინაო ვალის წმინდა ზრდები, მთავრობის ვალისა და ნომინალური მშპ-ს მოცულობები. სტრატეგიის საბიუჯეტო პროცესში სრულად ინტეგრირებისთვის, მიზანშეწონილია, გაგრძელდეს მუშაობა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტით განსაზღვრული საბიუჯეტო პარამეტრების სტრატეგიით განსაზღვრულ ნიშნულებთან დაახლოების მიმართულებით;
- საყურადღებოა, რომ მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიით, საგარეო ვალის პორტფელში ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ვალის წილი მინიმუმ 50%-ს უნდა შეადგენდეს. 2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით ეს ნიშნული დარღვეულია და აღნიშნული ტიპის ვალი მთლიანი პორტფელის 46.3%-ს უტოლდება. ამასთანავე, სტრატეგიის ნიშნულსა და ფაქტობრივ მაჩვენებელს შორის განსხვავება მზარდი ტენდენციით ხასიათდება, რაც საპროცენტო ხარჯის მოწყვლადობას გლობალური მონეტარული პოლიტიკის მიმართ მნიშვნელოვნად ზრდის;
- აღსანიშნავია ისიც, რომ უკანასკნელ წლებში, საშინაო წყაროებიდან მობილიზებული რესურსის მოცულობა მკვეთრად ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, რომელსაც საგარეო წყაროებიდან მიღებულ რესურსთან შედარებით მაღალი საპროცენტო ხარჯები აქვს;
- ზემოაღნიშნული ორი მოვლენის ერთდროული ზემოქმედება (გლობალური მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება და საშინაო ვალის წილის ზრდა) უკანასკნელ წლებში მზარდ საპროცენტო ხარჯებში აისახება, რაც მნიშვნელოვან ფისკალურ წნეხს

წარმოქმნის სახელმწიფო ბიუჯეტისთვის. ამ თვალსაზრისით, ტენდენცია ნარჩუნდება 2026 წელსაც. წარმოდგენილი პროგნოზებით, მთავრობის ვალის მომსახურების ხარჯი (პროცენტის ხარჯი) 73 მლნ ლარით იზრდება და 1.8 მლრდ ლარს უტოლდება;

- მთავრობის ვალთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკ-ფაქტორების სრულფასოვანი ანალიზის მიზნით, მიზანშეწონილია, ფინანსთა სამინისტრომ „მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი“ მოამზადოს საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის განახლებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით;
- დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია და მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიაში 2025-2029 წლებისთვის საპროცენტო განაკვეთის რისკის შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორად განსაზღვრა საპროცენტო ხარჯის ფარდობა მშპ-სთან. აღნიშნული მაჩვენებელი საშუალოვადიან პერიოდში 2%-ს არ უნდა აღემატებოდეს;
- მიუხედავად პროგრესისა, პროგრამული ბიუჯეტი ჯერ კიდევ არ წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ნაწილს და სისტემური ხარვეზებით ხასიათდება. ამ კუთხით საყურადღებოა, პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში მოსალოდნელი შედეგების გამართულობა, შედეგების შეფასების ინდიკატორების ხარისხი, მათ შორის ცხადი სამიზნე მაჩვენებლების არსებობა და ცდომილების ალბათობისა და შესაძლო რისკების განსაზღვრა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, გარდა დასკვნაში მოცემული შენიშვნებისა, „2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი სათანადოდ არის მომზადებული არსებული დაშვებების საფუძველზე, შესაძლებელია შეფასდეს საფუძვლიანად და კანონიერად მოქმედი ნორმატიული ბაზის გათვალისწინებით.

1. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის ზოგადი მიმოხილვა

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტი (პირველადი ვარიანტი) მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) რეალური ზრდის 5%-იან (ნომინალურ გამოსახულებაში 110.5 მლრდ ლარი) პროგნოზზე არის დაგეგმილი. კანონპროექტით 2026 წლის შემოსულობების პროგნოზი 30.3 მლრდ ლარის, ხოლო გადასახდელების გეგმა 30.5 მლრდ ლარის დონეზეა განსაზღვრული. 2025 წელთან შედარებით ორივე მაჩვენებელი იზრდება, შესაბამისად, 2.7 მლრდ ლარისა და 2.5 მლრდ ლარის ოდენობით. როგორც შემოსულობების, ასევე გადასახდელების ნაწილში გათვალისწინებულია 2021 წელს გამოშვებული 500 მლნ ნომინალური ღირებულების ევროობლიგაციების რეფინანსირება.



* დიაგრამაზე მოცემული კლების/ზრდის მაჩვენებლები წარმოადგენს 2026 წლის პარამეტრების შედარებას 2025 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან.

2026 წლის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი გადასახდელების გეგმას 185.1 მლნ ლარით ჩამორჩება. შესაბამისად, იგეგმება ბიუჯეტის ნაშთის შემცირება 820.1 მლნ ლარამდე. აღნიშნული თანხიდან 594.3 მლნ ლარი ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით


სტიმულირებისათვის¹ განთავსებულია კომერციული ბანკების სადეპოზიტო სერტიფიკატებში. შესაბამისად, 2026 წლის ბოლოს სახელმწიფო ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის მოცულობა 225.8 მლნ ლარს გაუტოლდება.

2026 წლის ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი 2.7 მლრდ ლარის და მშპ-ს 2.5%-ის ნიშნულზეა პროგნოზირებული. მაჩვენებელი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონით განსაზღვრული 3%-იანი ლიმიტის ფარგლებშია. კანონპროექტზე თანდართული „ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების“ დოკუმენტის საბაზო სცენარის მიხედვით, დეფიციტის მაჩვენებელი 2027-2029 წლებშიც ზღვრული პარამეტრის ფარგლებშია მოქცეული.

ვალის წესის მაჩვენებელი 2026 წლის ბოლოსთვის მშპ-ს 34.9%-ის დონეზეა პროგნოზირებული და ორგანული კანონით განსაზღვრული 60%-იანი ნიშნულის ფარგლებშია.

რაც შეეხება ბიუჯეტის გადასახდელების კომპოზიციას მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების კრილში, 2022 წლიდან ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯები ძირითადად ზრდადი, კაპიტალური ხარჯები კი კლებადი ტენდენციით ხასიათდებოდა. წარმოდგენილი კანონპროექტით, 2026 წლის ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელი, მიმდინარე წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 0.3 პროცენტული პუნქტით მცირდება (22.5%-მდე). 2025 წლის გეგმურ მაჩვენებელთან შედარებით 1 პროცენტული პუნქტით მცირდება ნაერთი ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯების² მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელიც და 6.9%-ს უტოლდება, რომელიც საშუალოვადიან პერიოდში კლებად ტენდენციას ინარჩუნებს.

დიაგრამა 1. საშუალოვადიან პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის „ხარჯების“ მუხლის, „არაფინანსური აქტივების ზრდისა“ და „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლების %-ული წილი მშპ-სთან.



* 2025-2029 წლებისათვის მოცემულია „ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების“ დოკუმენტის საბაზო სცენარში წარმოდგენილი პროგნოზები.

¹ მთავრობის 2020 წლის 22 მაისის N 845 განკარგულების საფუძველზე ეკონომიკის გრძელვადიანი საკრედიტო რესურსით უზრუნველყოფის მიზნით, 2020 წლის ივნისსა და ივლისში, კომერციული ბანკების სადეპოზიტო სერტიფიკატებში განთავსდა 594.3 მლნ ლარი, რომლის ვადაც 2028 წლის იანვარში იწურება.

² ფინანსთა სამინისტროს განმარტებით, კაპიტალური ხარჯები გაანგარიშებულია „ფინანსური აქტივების ზრდისა“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლების ჯამით.

2. მაკროეკონომიკური დაშვებები და ფისკალური დისციპლინა


2.1. მაკროეკონომიკური დაშვებები და კავშირი ფისკალურ პარამეტრებთან

ქვეყნის საშუალოვადიანი ფისკალური გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის ძირითადი პარამეტრები ემყარება ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში (შემდგომში - BDD დოკუმენტი) წარმოდგენილ მაკროეკონომიკურ პროგნოზებს. შესაბამისად, საპროგნოზო მაჩვენებლების რეალისტურობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფისკალური ჩარჩოს ფორმირებისა და წლიური ბიუჯეტის დაგეგმვის/შესრულების პროცესში.

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტზე თანდართულ 2026-2029 წლების BDD დოკუმენტში წარმოდგენილი ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზები (განახლებული პროგნოზები) 2026 წლისთვის უმნიშვნელოდ განსხვავდება 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე თანდართული პროგნოზებისგან (წინა პროგნოზები) 2026 და შემდგომი წლებისთვის. პროგნოზებს შორის ძირითადი სხვაობა ფიქსირდება 2026 წლის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მაჩვენებელში, რომელიც განახლებული პროგნოზით 3.8%-ის დონეზეა განსაზღვრული (წინა პროგნოზი 4.1%). წარმოდგენილი პროგნოზებით, 2026 წლის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი უცვლელადაა შენარჩუნებული 5%-ის დონეზე, ხოლო პერიოდის საშუალო ინფლაციისა და პერიოდის ბოლოს ინფლაციის მაჩვენებლები 3.2%-ს შეადგენს (წინა პროგნოზი ორივე მაჩვენებლისთვის 3.0%-ია).

ასევე უცვლელია ეკონომიკური ზრდის 2025 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი და 6.0%-ის დონეზეა შენარჩუნებული. აღსანიშნავია, რომ წინასწარი მონაცემებით, 2025 წლის 8 თვის ეკონომიკურმა ზრდამ 7.9% შეადგინა. დაკორექტირდა პერიოდის საშუალო (3.6%, გაზრდილია 0.4 პ.პ.-ით) და პერიოდის ბოლოს ინფლაციის (3.5%, გაზრდილია 0.3 პ.პ.-ით) მაჩვენებლები. 2025 წლის 8 თვის მდგომარეობით, ფაქტობრივმა პერიოდის საშუალო ინფლაციამ 3.5% შეადგინა. რაც შეეხება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს, წინა პროგნოზთან შედარებით 0.1 პ.პ.-ითაა გაზრდილი და 4.4%-ის დონეზეა პროგნოზირებული.


დიაგრამა 2. BDD დოკუმენტის სხვადასხვა ვერსიაში წარმოდგენილი პროგნოზების შედარება 2025-2026 წლებისათვის.



ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი 2026 წლის ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი (5.0%) არსებითად თანხვედრაშია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და


სარეიტინგო სააგენტოების პროგნოზებთან. ამავდროულად, 2025 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი (6.0%) ჩამორჩება საერთაშორისო ორგანიზაციების პროგნოზებს (7% - 7.4%-ის ფარგლებში).

დიაგრამა 3. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და სარეიტინგო სააგენტოების ეკონომიკური ზრდის პროგნოზები საქართველოსთვის.³



საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან და სარეიტინგო სააგენტოებიდან ინფლაციას 2026 წლისთვის ყველაზე მაღალ ნიშნულზე პროგნოზირებს აზიის განვითარების ბანკი (ADB) – 3.5%, S&P-ის პროგნოზი 3.2%-ია, ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკისა (NBG) და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) საპროგნოზო მაჩვენებელი 3.1%-ია. ამასთანავე, 2025 წლისთვის, IMF-ის გარდა ყველა ინსტიტუტის/სააგენტოს საპროგნოზო მაჩვენებელი აჭარბებს ფინანსთა სამინისტროს პროგნოზს.

დიაგრამა 4. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და სარეიტინგო სააგენტოების ინფლაციის პროგნოზები საქართველოსთვის.⁴



³ IMF, [2025 Article IV Consultation-Press Release](#), ივლისი, 2025

ADB, [Asian Development Outlook](#), სექტემბერი, 2025

EBRD, [Regional Economic Prospects](#), სექტემბერი, 2025

S&P, [Georgia 'BB/B' Ratings Affirmed; Outlook Stable](#), აგვისტო, 2025

NBG, [მონეტარული პოლიტიკის ანგარიში](#), ივლისი, 2025

⁴ IMF, [2025 Article IV Consultation-Press Release](#), ივლისი, 2025


ADB, [Asian Development Outlook](#), სექტემბერი, 2025

S&P, [Georgia 'BB/B' Ratings Affirmed; Outlook Stable](#), აგვისტო, 2025

NBG, [მონეტარული პოლიტიკის ანგარიში](#), ივლისი, 2025


სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტზე თანდართული პროგნოზით, 2026 წლის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 9.2%-ით იზრდება და 110.5 მლრდ ლარს გაუტოლდება. ნომინალური მშპ 2026-2029 წლებში საშუალოდ 8.6%-ით იზრდება. აღნიშნული მნიშვნელოვანწილად განპირობებულია მოხმარების ზრდით (საშუალოდ 7.1%-ით), რომელიც სტაბილურად აღემატება მშპ-ს სხვა კომპონენტების ზრდის მაჩვენებელს.

დიაგრამა 5. ნომინალური მშპ-ს ზრდისა და ზრდაში მისი შემადგენელი კომპონენტების კონტრიბუციების ტენდენცია.⁵



* აღნიშნავს პროგნოზს

დიაგრამა 6. 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონსა და 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტზე თანდართულ BDD დოკუმენტებში მოცემული ექსპორტ-იმპორტის საპროგნოზო მაჩვენებლების შედარება 2025-2026 წლებისთვის (მლრდ აშშ დოლარი).




ექსპორტის საპროგნოზო მოცულობა 2026 წლისთვის 19.7 მლრდ აშშ დოლარია, რაც 1.8 მლრდ აშშ დოლარით (10.0%-ით) აღემატება 2025 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. რაც შეეხება

⁵ საპროგნოზო მონაცემები ეყრდნობა 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტზე თანდართულ პროგნოზებს.

იმპორტს, მისი საპროგნოზო მოცულობა 1.9 მლრდ აშშ დოლარით (9.3%-ით) იზრდება მიმდინარე წელთან შედარებით და 22.7 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს. შესაბამისად, **სავაჭრო ბრუნვა** პროგნოზირებულია 42.4 მლრდ აშშ დოლარის დონეზე და 3.7 მლრდ აშშ დოლარით (9.6%-ით) აჭარბებს 2025 წლის საპროგნოზო მაჩვენებელს. **სავაჭრო სალდო** განსაზღვრულია -3 მლრდ აშშ დოლარის დონეზე და 134 მლნ აშშ დოლარით (4.8%-ით) ჩამორჩება 2025 წლის საპროგნოზო მაჩვენებელს.

რაც შეეხება **მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს**, წარმოდგენილი კანონპროექტით 2026 წლის პროგნოზი 1.5 მლრდ აშშ დოლარს და მშპ-ს 3.8%-ს შეადგენს. იგი მიმდინარე წლის პროგნოზთან შედარებით 76.8 მლნ დოლარით (4.7%-ით) მცირდება. საშუალოვადიან პერიოდში პროგნოზირებულია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ნომინალური მოცულობის მცირედით ზრდა, თუმცა მშპ-სთან მიმართებით ნარჩუნდება შემცირების ტენდენცია.

დიაგრამა 7. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-სთან მიმართებით და მის ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორები ნომინალურ გამოსახულებაში (მლრდ ლარი).



* აღნიშნავს პროგნოზს

2.2. ფისკალური წესები

გრძელვადიან პერიოდში ფისკალური პოლიტიკის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად შემუშავებულია ფისკალური წესები. საქართველოში მოქმედი ფისკალური წესები⁶ განსაზღვრულია „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით (შემდგომში - ორგანული კანონი). ფისკალური პოლიტიკის მიმართულებებსა და მიზნებს, ასევე, საშუალოვადიანი საბიუჯეტო პარამეტრების საპროგნოზო მაჩვენებლებს განსაზღვრავს BDD დოკუმენტი.

⁶ ბიუჯეტის ბალანსის წესი - ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ს 3.0%-ს.

ვალის წესი - საქართველოს მთავრობის ვალის ფარდობა მშპ-სთან არ უნდა აღემატებოდეს 60.0%-ს.


შემოსავლების წესი - ორგანული კანონი, აქციზის გარდა, ზღუდავს ნებისმიერი გადასახადის განაკვეთის გაზრდას რეფერენდუმის გარეშე.

□ ბიუჯეტის ბალანსის წესი (ბიუჯეტის დეფიციტი)

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტით 2026 წლის ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის (შემდგომში დეფიციტი) ნომინალური მაჩვენებელი 149 მლნ ლარით იზრდება 2025 წელთან შედარებით და 2.7 მლრდ ლარს უტოლდება. მშპ-სთან მიმართებით ბიუჯეტის დეფიციტი უცვლელად ნარჩუნდება 2.5%-ის დონეზე, მშპ-ს საპროგნოზო მაჩვენებლის ზრდის ხარჯზე და ორგანული კანონით დადგენილი 3%-იანი ლიმიტის ფარგლებშია. ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა ხარჯების ზრდითაა (2.2 მლრდ ლარით) განპირობებული, რაც აჭარბებს შემოსავლების ზრდისა (1.8 მლრდ ლარით) და არაფინანსური აქტივების ცვლილების შემცირების (250 მლნ ლარით) კომპონენტებს. აღსანიშნავია, რომ წინა წლებისგან განსხვავებით, 2026 წელს არაფინანსური აქტივების ცვლილების კომპონენტი მცირდება.


წინა პროგნოზთან შედარებით, კანონპროექტით წარმოდგენილი დეფიციტის საშუალოვადიანი პროგნოზი კლების მიმართულებით გადაიხედა. მაჩვენებლის შემადგენელი კომპონენტების ანალიზი აჩვენებს, რომ 2026 წლისთვის შემცირების ძირითადი მიზეზი „ხარჯების“ მუხლის შემცირებაა, 2027-2028 წლებისათვის კი „შემოსავლების“ მუხლის ზრდა.

დიაგრამა 8. ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის ფაქტობრივი და საპროგნოზო მაჩვენებლები ნომინალურ გამოხატულებასა (მლნ ლარი) და მშპ-სთან მიმართებით (%).




* აღნიშნავს პროგნოზს

დიაგრამა 9. ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მშპ-სთან ფარდობის პროგნოზებისა და მისი შემადგენელი კომპონენტების ნომინალური ცვლილება 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტსა და 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე თანდართული პროგნოზების მიხედვით (მლნ ლარი).



საშუალოვადიან პერიოდში ერთიანი ბიუჯეტის პირველადი დეფიციტი⁷ სტაბილურობით ხასიათდება და 1 მლრდ ლარის ფარგლებში ნარჩუნდება. ამასთანავე, მზარდია ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელი ნომინალურ გამოსახულებაში, რაც მთავრობის ვალის მომსახურების საპროცენტო ხარჯების მზარდი დინამიკითაა გამოწვეული.

დიაგრამა 10. ერთიანი ბიუჯეტის ანალიტიკური მაჩვენებლები (2025-2029 წლებისთვის წარმოდგენილია საპროგნოზო მაჩვენებლები).⁸



ნომინალურ გამოსახულებაში საპროცენტო ხარჯების მზარდი ტენდენციის მიუხედავად, მისი ფარდობა მშპ-სთან მდგრადობით ხასიათდება და საშუალოდ 1.7%-ს შეადგენს.⁹

⁷ პირველადი ბალანსი გაიანგარიშება როგორც ბიუჯეტის დეფიციტი, რომელიც არ მოიცავს საპროცენტო ხარჯს. შესაბამისად, გამოითვლება როგორც შემოსავლებს - ხარჯები - არაფინანსური აქტივების ცვლილება + საპროცენტო ხარჯი.


⁸ მონაცემები ეყრდნობა 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტზე თანდართული „ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების“ პროგნოზების საბაზო სცენარს.

⁹ მთავრობის ვალის მართვის სტრატეგია 2025-2029 წლებისთვის აღნიშნული მაჩვენებლის მიმართ აწესებს მაქსიმალურ ზღვრულ ნიშნულს 2%-ის დონეზე.

შესაბამისად, მისი კონტრიბუცია ბიუჯეტის დეფიციტის ფორმირებაში გასული წლების მსგავსად მაღალ ნიშნულზე ნარჩუნდება (საპროცენტო ხარჯებთან დაკავშირებული ინფორმაცია დეტალურადაა წარმოდგენილი ქვეთავში „სახელმწიფო და მთავრობის ვალი“).

რაც შეეხება IMF-თან არსებული პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული მოდიფიცირებული დეფიციტის მაჩვენებელს,¹⁰ იგი 2026 წელს მშპ-ს 2.5%-ის დონეზე პროგნოზირებული. აღსანიშნავია, რომ მოდიფიცირებული დეფიციტის პროგნოზები, 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე თანდართულ პროგნოზებთან შედარებით, ზრდის მიმართულებით გადაიხედა.

დიაგრამა 11. IMF-თან არსებული პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული მოდიფიცირებული დეფიციტის დინამიკა საშუალოვადიან პერიოდში 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონსა და 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის მიხედვით.



* აღნიშნავს პროგნოზს

საყურადღებოა, რომ საბიუჯეტო კოდექსის 38-ე მუხლის მე-4 ნაწილის ე¹ ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს თან უნდა ახლდეს ინფორმაცია სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების მიერ საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი წყაროდან მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ. გარდა ამისა, კოდექსის მე-6 მუხლის მიხედვით, სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების ბიუჯეტის მაჩვენებლები გათვალისწინებული უნდა იქნას სახელმწიფო მმართველობის შესაბამისი დონის კონსოლიდირებული ბიუჯეტის ფორმირებისას. შესაბამისად, მათი ფინანსური პარამეტრები უნდა მონაწილეობდეს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებლის გამოთვლაში.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების ბიუჯეტის მაჩვენებლები, აგრეგატულ დონეზე ასახულია 2026 წლის ერთიანი ბიუჯეტის პარამეტრებში. მიუხედავად ამისა, აღნიშნული საწარმოების მიერ მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ ინფორმაცია

¹⁰ აღნიშნული მაჩვენებელი GFSM 2014 კლასიფიკაციისგან განსხვავებით დეფიციტის გაანგარიშებისას ფინანსური აქტივებით განხორციელებულ ოპერაციებსა და დაბრუნების ქვეანგარიშზე არსებულ რესურსებსაც ითვალისწინებს.

კანონპროექტს თან არ ახლავს. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნულის მიზეზია ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე საწარმოების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულის, სიზუსტისა და ხარისხის კუთხით არსებული ნაკლოვანებები. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ პოზიტიური ტენდენციის მიუხედავად, ისევ შეინიშნება ხარვეზები ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ეტაპზე სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული საწარმოების მიერ წარმოდგენილი მონაცემების სისრულის, ხარისხისა და სიზუსტის კუთხით, რაზეც ყურადღება იქნა გამახვილებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებებში ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებთან დაკავშირებით.¹¹ აქედან გამომდინარე, ფისკალურ პარამეტრებზე პოტენციური გავლენის მასშტაბის გათვალისწინებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების ჯეროვანი შესრულებისათვის, მნიშვნელოვანია, სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული საწარმოების მიერ დამატებითი ყურადღება გამახვილდეს ფინანსთა სამინისტროსთვის წარსადგენი ინფორმაციის სისრულისა და სიზუსტის გაუმჯობესების საკითხებზე საბიუჯეტო პროცესის ყველა შესაბამის ეტაპზე. სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული საწარმოების მონაცემების საბიუჯეტო დოკუმენტაციაში წარმოდგენის საჭიროებაზე ასევე ყურადღება იქნა გამახვილებული IMF-ის ფისკალური გამჭვირვალობის 2024 წლის შეფასებაში.¹²

□ ვალის წესი

ორგანული კანონით ვალის წესის მიზნებისთვის დათვლილი მაჩვენებელი განსაზღვრულია როგორც მთავრობის ვალისა¹³ და „საჯარო და კერძო პარტნიორობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების ჯამის ფარდობა მშპ-სთან, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 60%-ს.


სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტით, 2026 წლის ბოლოს მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობა 38.6 მლრდ ლარის დონეზეა განსაზღვრული, რაც მშპ-ს 34.9%-ია. იმავე პერიოდში „საჯარო და კერძო პარტნიორობის შესახებ“ კანონის საფუძველზე აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების საორიენტაციო მოცულობა 1.2 მლნ ლარს შეადგენს. აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით, ვალის წესის საპროგნოზო მაჩვენებელი 2026 წლის ბოლოსთვის 34.9%-ს უტოლდება და 60%-იანი ნიშნულის ფარგლებშია მოქცეული. წარმოდგენილი პროგნოზებით, მაჩვენებელი საშუალოვადიან პერიოდში კლებადი ტენდენციით ხასიათდება და 2029 წლისთვის 33.8%-მდე მცირდება.

¹¹ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“. გვ. 82.

¹² IMF, Fiscal Transparency Evaluation, თებერვალი, 2024. გვ. 15

¹³ ორგანული კანონის მიზნებისთვის, მთავრობის ვალი „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო ვალისგან განსხვავებით არ მოიცავს ეროვნული ბანკის ვალს IMF-ის მიმართ და დამატებით მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებულ ვალს (მუნიციპალიტეტების, სახელმწიფოს ერთეულის მიერ შექმნილი სსიპ/ა(ა)იპ-ებისა და სამთავრობო სექტორად დაკლასიფიცირებული სახელმწიფო საწარმოების ვალდებულებებს).

დიაგრამა 12. ვალის წესის მიზნებისთვის დათვლილი მაჩვენებელი და მისი მიმართება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონით დადგენილ 60%-იან ზღვართან.¹⁴



* აღნიშნავს პროგნოზს

ვალის წესის მაჩვენებელთან დაკავშირებით, საყურადღებოა, რომ 2022 წელს საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით,¹⁵ სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების ვალდებულებები დაკლასიფიცირდა მთავრობის ვალის შემადგენელ ნაწილად. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ საწარმოების მიერ სესხის აღებასთან დაკავშირებული უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის საკითხები ცხადი სახით კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში „2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ“ იდენტიფიცირებული იქნა სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული 5 სახელმწიფო საწარმო, რომელთაც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნდათ სასესხო ვალდებულებები, ჯამურად 39 მლნ ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა არ იყო ასახული მთავრობის ვალის სტატისტიკაში.¹⁶

იმის გათვალისწინებით, რომ ცენტრალური, ავტონომიური და მუნიციპალური ხელისუფლების ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული სსიპ/ა(ა)იპ-ების მიერ სესხების აღების/გაცემის პროცედურებს განსაზღვრავს საბიუჯეტო კოდექსი და „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონი, ქვეყანაში მთავრობის ვალის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, სამთავრობო სექტორად დაკლასიფიცირებული საწარმოების მიერ ვალის აღების შესაძლებლობები დარეგულირდეს საკანონმდებლო დონეზე. აღნიშნულ საკითხზე ყურადღება გამახვილდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გასული წლების მოხსენებებში „სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“.

¹⁴ 2023 წლის ფაქტობრივი მონაცემი მოიცავს სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული 5 სახელმწიფო საწარმოს ვალდებულებას 39 მლნ ლარის ოდენობით, რომელიც არ არის აღრიცხული მთავრობის ვალის სტატისტიკაში.

¹⁵ საქართველოს კანონი საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, N 2384-IXმს-Xმპ, 15.12.2022

¹⁶ მოხსენება „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“, გვ. 33.

2.3. მაკროეკონომიკური და ფისკალური რისკების ანალიზი

საჯარო ფინანსების ეფექტიანი მართვისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია საბიუჯეტო პროცესში მაკროეკონომიკური და ფისკალური რისკების იდენტიფიცირება და ანალიზი, რაც მათი წარმატებული მართვის წინაპირობაა.

□ მაკროეკონომიკური რისკების ანალიზი

კანონპროექტზე თანდართულ „მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზის“ დოკუმენტში განხილულია 3 პოტენციური ნეგატიური რისკი.¹⁷ დოკუმენტში ასახულია ხარისხობრივი ინფორმაცია იდენტიფიცირებული რისკების მოხდენის და მათი გავლენის ალბათობების შესახებ. მიზანშეწონილია, აღნიშნული მიმართულებით გაგრძელდეს მუშაობა და დოკუმენტს დაემატოს ანალიზი იდენტიფიცირებული რისკების სხვადასხვა ხარისხითა და კომბინაციით მატერიალიზაციის ეკონომიკურ პარამეტრებზე პოტენციური გავლენის მასშტაბის შესახებ, რაოდენობრივ ჭრილში.

ცხრილი 1. 2026 წლისთვის განსაზღვრული პროგნოზები 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე (საბაზო სცენარი) და 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტზე თანდართული პროგნოზების მიხედვით (საბაზო, ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები).

ინდიკატორი	კანონი 2025 საბაზო	კანონპროექტი 2026 საბაზო	კანონპროექტი 2026 ოპტიმისტური	კანონპროექტი 2026 პესიმისტური
რეალური მშპ-ს ზრდა	5.0%	5.0%	6.4%	2.2%
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (USD)	10,543	10,957	11,339	10,373
ინფლაცია (საშუალო პერიოდის)	3.0%	3.2%	4.2%	2.2%
ინფლაცია (პერიოდის ბოლოს)	3.0%	3.2%	4.2%	2.2%
მიმდინარე ანგარიში/მშპ	-4.1%	-3.8%	-4.5%	-3.1%
მიმდინარე ანგარიში (მლნ USD)	-1,593	-1,544	-1,906	-1,201
ექსპორტი (მლნ USD)	19,768	19,725	20,449	18,528
იმპორტი (მლნ USD)	22,616	22,679	23,883	20,916
ბიუჯეტის დეფიციტი/მშპ	2.6%	2.5%	2.1%	2.6%
მთავრობის ვალი/მშპ	35.4%	34.9%	33.7%	36.9%

უნდა აღინიშნოს, რომ „მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზის“ დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია სხვადასხვა ეკონომიკური სცენარის (ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები) რეალიზების შემთხვევაში ფისკალური პოლიტიკის შესაბამისი მოსალოდნელი პასუხების შესახებ. IMF-ის მიხედვითაც, რისკების იდენტიფიცირების შემდეგ,

¹⁷ აღნიშნული რისკებია: 1. რეგიონული რისკების გაგრძელება; 2. გლობალური ეკონომიკური აქტივობის შენელება; 3. სავაჭრო ტარიფების დაწესების შედეგად საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების შესუსტება.


მნიშვნელოვანია შემუშავდეს მათი მართვის სტრატეგია, სადაც განხილული იქნება ფისკალური პოლიტიკის პასუხები რისკების ზეგავლენის შესამცირებლად.¹⁸

□ ფისკალური რისკების ანალიზი

კანონპროექტზე თანდართულ „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტში გაანალიზებულია სახელმწიფო საწარმოებიდან, კვაზი-ფისკალური აქტივობებიდან, საჯარო და კერძო თანამშრომლობებიდან (PPP), სასამართლო დავებიდან, ბუნებრივი კატასტროფებიდან და კლიმატური რისკებიდან მომდინარე ფისკალური რისკები, ასევე გრძელვადიანი ფისკალური რისკები.

სახელმწიფო საწარმოების კუთხით დოკუმენტში განხილულია 211 საწარმოს ნაერთი ფინანსური მაჩვენებლები. დოკუმენტის მიხედვით, 2024 წელი საწარმოებმა 138 მლნ ლარიანი ზარალით დაასრულეს.¹⁹ გასულ წლებში საწარმოების ფინანსურ შედეგებზე გაცვლითი კურსის გავლენის კლებადი დინამიკის მიუხედავად, საწარმოები კვლავ რჩებიან მოწყვლადები საგარეო ფაქტორების მიმართ.

დიაგრამა 13. სახელმწიფო საწარმოების მოგების (დაბეგვრამდე), გაცვლითი კურსის ეფექტისა და კურსის ეფექტის გამორიცხვით მოგების (დაბეგვრამდე) დინამიკა (მლნ ლარი).²⁰




საყურადღებოა, რომ სახელმწიფო საწარმოთა აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილის დაფინანსების წყარო ვალდებულებებია, რაც სახელმწიფოს წინაშე არსებული ფისკალური რისკების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა.

¹⁸ IMF, Fiscal Transparency Handbook, 2018, გვ. 97

¹⁹ მონაცემი წარმოდგენილია მარაბდა-კარწახის რკინიგზის გარეშე, ხოლო მისი ჩათვლით ზარალი 305 მლნ ლარია.

²⁰ მონაცემები ეყრდნობა 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტზე თანდართული „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტს (გვ. 24). ასევე, დიაგრამაზე წარმოდგენილი მონაცემები არ ითვალისწინებს მარაბდა-კარწახის რკინიგზის ფინანსურ მაჩვენებლებს, რადგან ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაციის ეტაპზე კომპანია არ მიეკუთვნა არც სახელმწიფო კორპორაციების და არც სამთავრობო სექტორს. დიაგრამაზე წარმოდგენილ მონაცემებში კურსთაშორისი სხვაობით გამოწვეული მოგება დაბეგვრამდე მაჩვენებლის გამოსათვლელად შესაბამისი წლის მოგებას დაბეგვრამდე ემატება კურსთაშორისი სხვაობით გამოწვეული ზარალი და აკლდება კურსთაშორისო სხვაობით გამოწვეული მოგება.

დიაგრამა 14. სახელმწიფო საწარმოების ნაერთი ვალდებულებები (მლნ ლარი) და ვალდებულებების წილი აქტივებში (%).



აღსანიშნავია, რომ საწარმოთა ნაწილი დამოკიდებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან რეგულარულად მიღებულ დაფინანსებაზე, რაც გარკვეულ შემთხვევებში ფუნქციონირების ხარჯების ან/და ვალდებულებების დაფარვას ხმარდება. „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტში წარმოდგენილია არასრული ინფორმაცია სახელმწიფო საწარმოების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების შესახებ. კერძოდ, დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია საწარმოების მიერ სუბსიდიებისა და სესხების სახით მიღებულ დაფინანსებაზე, თუმცა არაა ასახული მონაცემები „სხვა ხარჯების“²¹ მუხლიდან საწარმოებზე გადაცემული თანხების შესახებ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანალიზით, 2024 წელს ხუთი სამინისტროს²² კონტროლს ქვეშ მყოფმა საწარმოებმა სახელმწიფო ბიუჯეტის „ხარჯების“ მუხლიდან ჯამურად 1.03 მლრდ ლარის ოდენობის დაფინანსება მიიღეს. აღნიშნული თანხიდან 794.1 მლნ ლარი კაპიტალური პროექტების დაფინანსებას მოხმარდა. თანხის დარჩენილი ნაწილი (231.1 მლნ ლარი) კი ცალკეული აქტივობების სუბსიდირებაზე, კომპანიების ფუნქციონირების ხარჯების ან/და მათ ბალანსზე რიცხული ვალდებულებების დაფარვაზე მიიძღრათ.²³ ამავე მუხლიდან საწარმოების დაფინანსებას ადგილი ჰქონდა წინა წლებშიც. გარდა აღნიშნულისა, საინვესტიციო პროექტების განსახორციელებლად კომპანიებმა სახელმწიფო ბიუჯეტიდან (საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე) სესხის სახით მიიღეს 200.9 მლნ ლარი.²⁴

²¹ სხვა მიმდინარე ტრანსფერები და სხვა კაპიტალური ტრანსფერები.

²² რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.


²³ მაგალითად, ფუნქციონირების ხარჯების დაფარვისთვის თანხა გადაერიცხათ შპს „საქართველოს მელიორაციას“ (25 მლნ ლარი) და შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას“ (16.5 მლნ ლარი). ფუნქციონირების ხარჯებისა და ვალდებულებების დაფარვისთვის თანხა გადაერიცხა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ (130.6 მლნ ლარი).

²⁴ აღნიშნული კომპონენტი ძირითადად მოიცავს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ (105.5 მლნ ლარი) და სს „სახელმწიფო ელექტროსისტემაზე“ (82.1 მლნ ლარი) გაცემულ სესხებს.

ცხრილი 2. სახელმწიფო საწარმოებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხები დაფინანსების სახისა და სამინისტროების მიხედვით - 2024 წ. (მლნ ლარი).

	კაპიტალური ტრანსფერები	სუბსიდიები	სესხები	მიმდინარე ტრანსფერები	ჯამი
ინფრასტრუქტურის სამინისტრო	588	148.3	200.9		937.3
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	167.3	16.9	-		184.2
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	37	63.4	-		100.4
სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტრო	1.8	1.6	-		3.4
ჯანდაცვის სამინისტრო	-	0.4	-	0.4	0.8
ჯამი	794.1	230.6	200.9	0.4	1,226.1

დიაგრამა 15. სახელმწიფო საწარმოებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხები დაფინანსების სახის მიხედვით - 2024 წ. (მლნ ლარი).



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, ფისკალური გამჭვირვალობის გაუმჯობესებისთვის, მიზანშეწონილია, სახელმწიფო საწარმოების მიერ (სექტორიზაციის გათვალისწინებით) სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების შესახებ დეტალური ინფორმაცია, დაფინანსების მიზნობრიობის ჩათვლით, წარმოდგენილი იყოს „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტში. ამ საკითხზე ყურადღება გამახვილდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინა ანგარიშებშიც. აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენის რეკომენდაციას იძლევა ასევე ღია ბიუჯეტის ინდექსის 2021 წლის შეფასებაც.²⁵

სახელმწიფო საწარმოების მართვის კონტექსტში, საქართველოს ფინანსთა მინისტრის №269 ბრძანებით,²⁶ სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული საწარმოები ეტაპობრივად უნდა გადავიდნენ სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის მომსახურებაზე. კერძოდ, აღნიშნული

²⁵ IBP, [Open Budget Survey 2021](#), გვ. 5

²⁶ სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე 2024-2026 წლებში ეტაპობრივად გადასვლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.


რეფორმის მეორე ეტაპის ფარგლებში, 2025 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 იანვრამდე, სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე უნდა გადავიდეს არანაკლებ 90 სახელმწიფო საწარმო. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, 2025 წლის 9 თვის მდგომარეობით, ხაზინის მომსახურებაზე გადასულია 100-ზე მეტი სახელმწიფო საწარმო.

ქვეყნის ფისკალური რისკების მნიშვნელოვანი წყაროა **პირობითი ვალდებულებები**. შესაბამისად, მათ სრულფასოვნად იდენტიფიცირებას და საჯარო ფინანსების მართვის პროცესში ინტეგრირებას გრძელვადიან პერიოდში ფისკალური მდგრადობის შენარჩუნებისთვის კრიტიკული მნიშვნელობა გააჩნია.²⁷

პირობითი ვალდებულებების ერთ-ერთი წყაროა სასამართლო დავები. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, საერთაშორისო საარბიტრაჟო დავების გამოკლებით, მსხვილი სასამართლო დავებიდან (სადაც სადავო თანხა აღემატება 5 მლნ ლარს) მომდინარე პირობითი ვალდებულებების მოცულობა 1.1 მლრდ ლარია. რაც შეეხება საერთაშორისო არბიტრაჟებს, „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტის მიხედვით, 8 მიმდინარე დავის ფარგლებში სადავო თანხის პოტენციური მაქსიმალური ოდენობა დაახლოებით 4.8 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს.

პირობითი ვალდებულებების კონტექსტში ასევე საყურადღებოა, საქართველოში არსებული დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, საიდანაც მომდინარე რისკების ასახვა „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტში არ ხდება.²⁸ აღნიშნული სისტემა 2017 წლიდან ფუნქციონირებს და 2023 წლის ბოლომდე უზრუნველყოფდა როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების დეპოზიტების დაზღვევას 15,000 ლარამდე ოდენობით. 2024 წლიდან კი დაზღვევის ლიმიტი 30,000 ლარამდე გაიზარდა. 2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, სისტემის მიერ დაზღვეული დეპოზიტების მოცულობა 11.3 მლრდ ლარს შეადგენს.

დიაგრამა 16. დაზღვეული დეპოზიტების ჯამური მოცულობა (მლნ ლარი).



აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკისა (GFSM 2014) და სახელმწიფო ვალის სტატისტიკის (PSDS 2013)


²⁷ IMF, [Fiscal Transparency Handbook](#), 2018 გვ. 95

²⁸ [საქართველოს კანონი „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“](#).

სახელმძღვანელოების მიხედვით, დეპოზიტების დაზღვევის სქემა წარმოადგენს სავალო ვალდებულებების ერთ-ერთ ინსტრუმენტს.²⁹ GFSM 2014-ის მიხედვით, აღნიშნული სქემა თავისი შინაარსიდან გამომდინარე, გარკვეულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, შესაძლოა დაკლასიფიცირდეს სამთავრობო სექტორის ნაწილად ან სახელმწიფო ფინანსურ კორპორაციად (სახელმწიფოს სადაზღვეო კორპორაციად).³⁰ ორივე შემთხვევაში, დეპოზიტების დაზღვევის სისტემა წარმოქმნის ფისკალურ რისკს პირდაპირი ან პირობითი ვალდებულების ფორმით.

საყურადღებოა ისიც, რომ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დაზღვეული დეპოზიტების მოცულობას მნიშვნელოვანი წილი უჭირავს დაზღვეული დეპოზიტებში, რაც 2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით 45%-ს შეადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე ეტაპზე სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო არ ახორციელებს პოტენციურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო რისკების ჰეჯირებას (სადაზღვეო ფონდის ნაწილის ვალდებულებების შესაბამის ვალუტაში დენომინირებულ აქტივებში განთავსების გზით),³¹ გაცვლითი კურსის მერყეობა აღნიშნული სისტემიდან დამატებით რისკებს წარმოქმნის.

დიაგრამა 17. დაზღვეული დეპოზიტების წილი ვალუტების მიხედვით (%).



აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტში წარმოდგენილი იქნეს ინფორმაცია საქართველოში მოქმედი დეპოზიტების დაზღვევის სისტემიდან მომდინარე პოტენციური რისკების შესახებ. ამ საკითხზე ყურადღება

²⁹ სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს (GFSM 2014) პარაგრაფები: 2.132-2.135; 7.201 სახელმწიფო ვალის სტატისტიკის სახელმძღვანელოს (PSDS 2013) პარაგრაფები: 3.17; 3.62; 3.62

³⁰ სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს (GFSM 2014) პარაგრაფი: 2.135

³¹ სადაზღვეო ფონდის თითქმის სრული ოდენობა, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განთავსებული იყო ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებულ, ლარში დენომინირებულ სახაზინო ფასიან ქაღალდებში, მაშინ როდესაც დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საქართველოს კანონით ინვესტირება შეიძლება განხორციელდეს შემდეგ დაბალრისკიან აქტივებში (კანონის მე-15 მუხლი): ა) საქართველოს მთავრობის, საქართველოს ეროვნული ბანკის, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის მიერ გამოშვებული, ლარით დენომინირებული სავალო ფასიანი ქაღალდები; ბ) საქართველოს ეროვნული ბანკის დეპოზიტები; გ) ევროპის ცენტრალური ბანკის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების, ევროკავშირის სუპრანაციონალური სააგენტოების მიერ გამოშვებული, ფიქსირებული შემოსავლის მქონე ფასიანი ქაღალდები და სავალო ინსტრუმენტები.

გამახვილდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გასულ პერიოდებში მომზადებულ ანგარიშებშიც. ფინანსური სექტორიდან, მათ შორის ამ სექტიდან მომდინარე ფისკალური რისკების ანალიზის მნიშვნელობაზე ასევე აღინიშნა IMF-ის ფისკალური გამჭვირვალობის შეფასების 2024 წლის ანგარიშშიც.³²

გარდა ზემოაღნიშნულისა, IMF-ის ფისკალური გამჭვირვალობის 2024 წლის შეფასებით, ფისკალური რისკების შესახებ ანგარიშების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია, „ფისკალური რისკების ანალიზის“ დოკუმენტი მოიცავდეს ინფორმაციას მუნიციპალიტეტებიდან მომდინარე ფისკალური რისკებისა და მათი ფინანსური მდგრადობის შესახებ.

საჯარო ფინანსების სტატისტიკის წარმოების მიზნებისათვის საქართველოს კანონმდებლობაში პირობითი ვალდებულებების ცნება განმარტებული არ არის. შესაბამისად, საბიუჯეტო დოკუმენტებში სრულყოფილად არ ხდება პირობითი ვალდებულებების მოცულობის გაანგარიშება და წარმოდგენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იქნეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ამ მიმართულებით გაცემული რეკომენდაცია.³³

3. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტით შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა 24.6 მლრდ ლარითაა განსაზღვრული, რაც 2025 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 5%-ით (1.2 მლრდ ლარით) აღემატება. აღნიშნული ზრდა გამოწვეულია საგადასახადო შემოსავლების 1.1 მლრდ ლარით (5.2%-ით) და გრანტების 19 მლნ ლარით (9.6%-ით) მატებით, შესაბამისად, 23 მლრდ ლარამდე და 219 მლნ ლარამდე. სხვა შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა უცვლელადაა შენარჩუნებული 1.4 მლრდ ლარის დონეზე.

ცხრილი 3. შემოსავლები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი).

	2025 წლის სახ. ბიუჯეტის კანონი (1)	2025 წლის 8 თვის ფაქტი (2)	შესრულება % (2)/(1)	2026 წლის სახ. ბიუჯეტის კანონპროექტი (3)	2025-2026 წწ. ცვლილება % (3)/(1)
შემოსავლები	23,435	15,639	66.7%	24,599	5.0%
საგადასახადო შემოსავლები	21,885	14,176	64.8%	23,030	5.2%
გრანტები	200	150	74.8%	219	9.6%
სხვა შემოსავლები	1,350	1,313	97.3%	1,350	0.0%

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 2026 წლისთვის 23 მლრდ ლარის დონეზეა განსაზღვრული. 2025 წელთან შედარებით იზრდება საშემოსავლო გადასახადის ოდენობა 801 მლნ ლარით (10.9%-ით), დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) - 544

³² Georgia: IMF Technical Assistance Report - [Fiscal Transparency Evaluation](#)

³³ [სახელმწიფო ვალის მართვის შემდგომი რეაგირების ეფექტიანობის აუდიტი](#)

მლნ ლარით (6.7%-ით), მოგების გადასახადი - 80 მლნ ლარით (2.6%-ით) და აქციზი - 50 მლნ ლარით (1.9%-ით). უცვლელი რჩება იმპორტის გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი, ხოლო სხვა გადასახადების კომპონენტი 330 მლნ ლარით (64.7%-ით) მცირდება. **სახელმწიფო აუდიტის სამსახურის** შეფასებით, წარმოდგენილი მაკროეკონომიკური პროგნოზების პირობებში, საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი კონსერვატიულადაა დაგეგმილი.

„გრანტების“ მუხლში საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისაღები გრანტების მაჩვენებელი იზრდება 14.6 მლნ ლარით (38.9%-ით) და 52.1 მლნ ლარის დონეზეა განსაზღვრული, ხოლო ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ/ა(ა)იპ-ებიდან³⁴ მისაღები გრანტების კომპონენტი უცვლელი რჩება 140 მლნ ლარის ოდენობით.

„სხვა შემოსავლების“ მუხლის 2026 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 1.4 მლრდ ლარს შეადგენს. აღნიშნული მუხლის ყველაზე მსხვილი კომპონენტებია **დივიდენდებიდან** და **პროცენტებიდან** მისაღები შემოსავლები. 2025 წელთან შედარებით დივიდენდების პროგნოზი 100 მლნ ლარით (33.3%-ით) იზრდება³⁵ და 400 მლნ ლარის დონეზეა განსაზღვრული, ხოლო საპროცენტო შემოსავლების პროგნოზი 80 მლნ ლარით (22.9%-ით) მცირდება და 270 მლნ ლარს უტოლდება.

ცხრილი 4. სხვა შემოსავლები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი).

	2025 წლის სახ. ბიუჯეტის კანონი (1)	2025 წლის 8 თვის ფაქტი (2)	შესრულება % (2)/(1)	2026 წლის სახ. ბიუჯეტის კანონპროექტი (3)	2025-2026 წწ. ცვლილება % (3)/(1)
სხვა შემოსავლები	1,350	1,313	97.3%	1,350	0.0%
შემოსავლები საკუთრებიდან	680	890	131.0%	700	2.9%
პროცენტები	350	206	58.9%	270	-22.9%
დივიდენდები	300	670	223.4%	400	33.3%
რენტა	30	14	47.7%	30	0.0%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	130	111	85.1%	135	3.8%
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	190	122	64.4%	200	5.3%
ტრანსფერები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული	350	190	54.2%	315	-10.0%

³⁴ სსიპ-ები, რომელთა წლიური შემოსავალი ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების გარდა აღემატება 1 მლნ ლარს, საკუთარი შემოსავლის არანაკლებ 10%-ს მიმართავენ სახელმწიფო ბიუჯეტში.

³⁵ ცვლილება მთლიანად გამოწვეულია საქართველოს ეროვნული ბანკიდან მისაღები დივიდენდების 100 მლნ ლარით (33.3%-ით) გაზრდით. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან დივიდენდების მიღება მოსალოდნელი არ არის.

4. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები


წარმოდგენილი კანონპროექტით 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების წლიური გეგმა 30.5 მლრდ ლარის დონეზეა განსაზღვრული და 9.1%-ით იზრდება 2025 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. დაგეგმილია „ხარჯების“, „ფინანსური აქტივების ზრდისა“ და „ვალდებულებების კლების“ მუხლების დაფინანსების ზრდა, შესაბამისად, 6%-ით (1.3 მლრდ ლარით), 44.9%-ით (190 მლნ ლარით) და 106%-ით (1.5 მლრდ ლარით),³⁶ ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის დაფინანსება მცირდება 11.1%-ით (472 მლნ ლარით).

ცხრილი 5. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (მლნ ლარი).

	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ბიუჯეტის კანონი	2025 წლის 8 თვის ფაქტი	2026 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი	2025-2026 წწ. ცვლილება	2025-2026 წწ. ცვლილება (%)
ხარჯები	20,049	21,842	14,160	23,156	1,314	6.0%
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,243	4,259	1,734	3,787	-472	-11.1%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	365	424	210	615	190	44.9%
ვალდებულებების კლება	1,290	1,417	935	2,919	1,502	106.0%
გადასახდელები	25,946	27,942	17,039	30,476	2,534	9.1%


„ხარჯების“ მუხლის ზრდა ძირითადად გამოწვეულია „სოციალური უზრუნველყოფის“ (858.8 მლნ ლარით), „შრომის ანაზღაურებისა“ (280.7 მლნ ლარით) და „პროცენტის“ (73 მლნ ლარით) მუხლების დაფინანსების ზრდით. 2025 წელთან შედარებით მცირდება მხოლოდ „სუბსიდიების“ მუხლის დაფინანსება (15 მლნ ლარით).

დიაგრამა 17. 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტით განსაზღვრული „ხარჯების“ მუხლის სტრუქტურა (მლნ ლარი).




³⁶ „ვალდებულებების კლების“ მუხლის ზრდა განპირობებულია 2021 წელს გამოშვებული 500 მლნ აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების ევროობლიგაციების დაფარვით 2026 წელს. აღნიშნული მიზნობრიობით გათვალისწინებულია 1.4 მლრდ ლარი.

დიაგრამა 18. სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიან გადასახდელებში „ხარჯების“ მუხლის თითოეული კომპონენტების წილის დინამიკა - 2023-2026 წწ.



2023 წლის 15 დეკემბერს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილებით,³⁷ 2028 წლიდან საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული განათლების სფეროს დაფინანსების მოცულობა უნდა იყოს დასაგეგმი წლისთვის პროგნოზირებული ნომინალური მშპ-ს მინიმუმ 6%. 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტზე თანდართული პროგნოზით, 2028 წლის ნომინალური მშპ-ს მოცულობა 130 მლრდ ლარს შეადგენს, რისი 6 პროცენტიც 7.8 მლრდ ლარია. ამასთანავე, კანონპროექტის განმარტებითი ბარათით, განათლების სფეროს დაფინანსება 2025 წელს 4 მლრდ ლარს გადააჭარბებს, რაც ნომინალური მშპ-ს საპროგნოზო მაჩვენებლის 4%-ია. შესაბამისად, საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული მიზნის 2028 წელს მიღწევისთვის განათლების სფეროს დაფინანსების წლიური ზრდის ტემპი საშუალოდ 24.9%-ს უნდა შეადგენდეს, რაც გამოწვევას წარმოადგენს.

დიაგრამა 19. განათლების სფეროს დაფინანსებაზე გაწეული დანახარჯები და მისი წილი მშპ-სთან მიმართებით ნაერთი ბიუჯეტიდან ამ სფეროს დაფინანსების ზრდის 24.9%-იანი ტემპის პირობებში (მლრდ ლარი; %).



აღსანიშნავია, რომ 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტში ცხადი სახით არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ნაერთი ბიუჯეტის ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

³⁷ საქართველოს კანონი [საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ](#), N 3975-XIIIმს-Xმპ, 15.12.2023.

განათლების სფეროსთვის გამოყოფილი დაფინანსების შესახებ 2026 წლისთვის, რაც ანგარიშგების თვალსაზრისით ნაკლოვანებას წარმოადგენს.

კანონპროექტით განსაზღვრული ცალკეული პროგრამების/ქვეპროგრამების შემთხვევაში, სხვაობა მიმდინარე წლის ათვისების ტენდენციასა და მომავალი წლის დაფინანსების მოცულობას შორის შესაძლებელია დაკავშირებული იყოს მთავრობის პრიორიტეტების ან/და სტრუქტურულ ცვლილებებსა და დისკრეციულ გადაწყვეტილებებთან. თუმცა, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების დაგეგმვისას, სხვა მიზეზებთან ერთად, მიზანშეწონილია, გათვალისწინებულ იქნეს გასული და მიმდინარე წლების შესრულების ტენდენციებიც, რათა დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის უზრუნველყოფილ იქნეს საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი გამოყენება და დაგეგმილი ასიგნებების სრულად ათვისება წინასწარ განსაზღვრული მიზნობრიობით.

ცხრილი 6. 2025 წლის 8 თვის მდგომარეობით ცხრა თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით 70%-ზე დაბალი ათვისების მქონე ზოგიერთი პროგრამა/ქვეპროგრამა, რომელთა ასიგნებებიც იზრდება ან იგივე დონეზე ნარჩუნდება 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტით³⁸ (ათასი ლარი).

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2025 წლის გეგმა	2025 წლის 8 თვის ფაქტი / წლიურ გეგმასთან (%)	2025 წლის 9 თვის დაზუსტებული გეგმა	2025 წლის 8 თვის ფაქტი / 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან (%)	2026 წლის ბიუჯეტის პროექტი	2025-2026 ცვლილება (%)
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო						
ბაზარზე ზედამხედველობის სფეროს რეგულირება და განხორციელების ღონისძიებები (24 04)	2,900	44.1%	2,173	58.8%	3,200	10.3%
ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება (24 10)	20,000	39.3%	14,000	56.2%	20,000	0.0%
სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების ხელშეწყობა (24 12 01)	9,500	30.3%	7,100	40.6%	9,600	1.1%
კურორტების განვითარების ხელშეწყობა (24 20)	6,000	25.8%	4,410	35.1%	6,000	0.0%
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო						

³⁸ ცხრილში მონაცემები მოცემულია მიზნობრივი გრანტების სახით ათვისებული სახსრების გამოკლებით.

სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციოდ და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები (25 02 02 05)	30,000	25.4%	13,700	55.6%	30,000	0.0%
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო						
არბიტრაჟებში, უცხო ქვეყნის სასამართლო-ებში და საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობა (26 01 02)	70,000	47.4%	54,988	60.4%	70,000	0.0%
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო						
დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა მართვა (27 01 08)	1,825	38.7%	1,270	55.6%	2,000	9.6%
ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვა (27 01 09)	5,700	35.6%	3,600	56.3%	6,065	6.4%
მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების ხელშეწყობა და მართვა (27 01 11)	1,104	44.9%	827	59.9%	1,160	5.1%
შრომის პირობების ინსპექტირება (27 01 12)	8,445	50.5%	6,367	66.9%	9,120	8.0%
იმუნიზაცია (27 03 02 02)	30,000	33.8%	21,150	47.9%	30,000	0.0%
ეპიდზედამხედველობა (27 03 02 03)	2,700	54.0%	2,204	66.1%	2,800	3.7%
ტუბერკულოზის მართვა (სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი) (27 03 02 06 02)	2,054	38.9%	1,550	51.6%	2,700	31.5%
ჯანმრთელობის ხელშეწყობა (27 03 02 10)	2,000	15.5%	500	61.9%	2,000	0.0%
ჰეპატიტის მართვა (სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი) (27 03 02 11 02)	1,400	45.0%	1,033	60.9%	1,400	0.0%

სარეინტეგრაციო დახმარება საქართველოში დაბრუნებული მიგრანტებისათვის (27 06 01)	1,500	38.7%	1,104	52.6%	1,500	0.0%
საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამა (27 06 05)	2,000	26.0%	985	52.8%	2,000	0.0%
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო						
ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და რეაბილიტაცია (29 03 04)	1,000	36.7%	792	46.4%	1,000	0.0%
კავშირგაბმულობა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება (29 04 02)	7,230	50.3%	5,440	66.9%	7,230	0.0%
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო						
ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული სისტემების ფუნქციონირების უზრუნველყოფა (31 01 03)	7,500	32.5%	7,254	33.6%	8,000	6.7%
მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსამედიდობა (31 02 04)	2,700	52.8%	2,435	58.5%	2,700	0.0%
გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი (31 05 06)	13,000	29.5%	8,500	45.1%	13,000	0.0%
პროექტების ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამა (31 05 08)	1,150	34.0%	691	56.6%	1,500	30.4%
კოოპერატივებისთვის სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა (31 05 16)	2,000	18.4%	1,200	30.7%	2,000	0.0%
მეფუტკრეობის მხარდაჭერის პროგრამა (31 05 18)	1,000	43.8%	700	62.6%	1,000	0.0%
დაცული ტერიტორიების დაცვა და რესურსების მართვა (31 08 02)	1,000	6.3%	800	7.9%	1,000	0.0%
ეკოტურიზმის განვითარება (31 08 03)	6,470	22.5%	4,924	29.6%	6,500	0.5%
სააგენტოს მართვა და ადმინისტრირება (31 13 01)	16,850	55.4%	13,640	68.5%	18,000	6.8%


ჰიდრომეტეოროლოგიის მონიტორინგი (31 13 02)	8,000	20.0%	4,520	35.4%	8,000	0.0%
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო						
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის აპარატი (32 02 02 01)	1,640	51.9%	1,242	68.5%	1,790	9.1%
ოკუპირებული რეგიონების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება (32 02 07)	5,325	49.0%	4,010	65.1%	5,770	8.4%
ახალგაზრდობის სფეროში ადმინისტრირება და მართვა (32 08 01)	2,330	51.9%	1,730	69.9%	2,630	12.9%
ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (32 08 02)	10,000	58.7%	8,984	65.3%	13,000	30.0%
საქართველოს სპორტის სამინისტრო						
სსიპ – საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი (34 05 03)	2,500	37.3%	1,996	46.7%	2,500	0.0%

4.1. კაპიტალური პროექტები

წარმოდგენილი კანონპროექტით, 2026 წლისათვის ნაერთი ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯების³⁹ პროგნოზი 363 მლნ ლარით მცირდება 2025 წელთან შედარებით და 7.6 მლრდ ლარს შეადგენს, რაც მშპ-ს საპროგნოზო მაჩვენებლის 6.9%-ია. ერთიანი ბიუჯეტის კაპიტალური ხარჯების მოცულობა კი 8.2 მლრდ ლარს უტოლდება (მშპ-ს 7.4%), რაც 193 მლნ ლარით ნაკლებია 2025 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. აღსანიშნავია, რომ კანონპროექტზე თანდართული პროგნოზებით, საშუალოვადიან პერიოდში კაპიტალური ხარჯების მოცულობა მშპ-სთან მიმართებით შემცირების ტენდენციით ხასიათდება და 2029 წლისთვის 6.7%-ს უტოლდება. ქვეყანაში ოპტიმალური ფისკალური სივრცის არსებობის პარალელურად, მნიშვნელოვანია, კაპიტალური დანახარჯების სტაბილური დონის განსაზღვრა და შენარჩუნება, რასაც არსებითი გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალზე.

³⁹ ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, მთავრობის მიერ განხორციელებული კაპიტალური ხარჯების მოცულობა გაიანგარიშება როგორც ნაერთი ბიუჯეტის ფინანსური და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი.

დიაგრამა 20. ნაერთი და ერთიანი ბიუჯეტების კაპიტალური ხარჯების დინამიკა ნომინალურ გამოსახულებასა და მშპ-სთან მიმართებით - 2021-2029 წწ. (მლრდ ლარი; %).



* აღნიშნავს პროგნოზს


გასული წლების მსგავსად, კაპიტალური ხარჯების ძირითადი ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტშია კონცენტრირებული⁴⁰ და 6.8 მლრდ ლარს შეადგენს (მშპ-ს 6.1%). აღსანიშნავია, რომ 2025 წელთან შედარებით 2026 წელს კაპიტალური ხარჯების ნომინალური მაჩვენებელი მცირდება 310 მლნ ლარით, ხოლო მშპ-სთან მიმართებით - 0.9 პ.პ.-ით. აღნიშნული კლება ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტის „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის 472 მლნ ლარით შემცირებითაა გამოწვეული.

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის კაპიტალური პროექტების დანართში წარმოდგენილი პროექტების გეგმების ჯამური ღირებულება 4.2 მლრდ ლარია, რაც 435 მლნ ლარით ნაკლებია 2025 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. დარგობრივი განაწილების მიხედვით, დაგეგმილი პროექტების ყველაზე მსხვილი კომპონენტებია საგზაო ინფრასტრუქტურისა (31%) და დანარჩენი სექტორების (25%) მიმართულებით განსახორციელებელი პროექტები. ამ უკანასკნელის სამი ყველაზე მსხვილი პროექტია:

- იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების სოციალური და საცხოვრებელი პირობების შექმნა (27 06 03) – პროექტის 2026 წლის გეგმა 240 მლნ ლარია. აღნიშნული პროგრამა დევნილი ოჯახებისათვის საცხოვრებელი უზრუნველყოფას ემსახურება;
- სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-მშენებლობა (25 07 02) - პროექტის 2026 წლის გეგმა 194 მლნ ლარია. პროგრამის მიზანია სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მრავალფუნქციური სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა (24 17 02) - პროექტის 2026 წლის გეგმა 150 მლნ ლარია.

⁴⁰ სახელმწიფო ბიუჯეტის შემთხვევაში კაპიტალურ ხარჯებში „არაფინანსური აქტივების ზრდის“ და „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლებთან ერთად შედის „კაპიტალური გრანტებისა“ და „სხვა ხარჯების კაპიტალური ტრანსფერების“ მუხლები, ვინაიდან აღნიშნული მუხლებიდან განხორციელებული ტრანსფერები საბოლოო ჯამში წარმოადგენს კაპიტალურ ხარჯებს.

დიაგრამა 21. კაპიტალური პროექტების დანართში წარმოდგენილი პროექტების პროგნოზების დარგობრივი კლასიფიკაცია, თითოეული დარგის მოცულობა ნომინალურ ღირებულებაში (მლნ ლარი) და %-ული წილი - 2026 წ.



2025 წელთან შედარებით მცირდება საგზაო ინფრასტრუქტურისა და განათლების დარგების პროექტებზე გამოყოფილი დაფინანსების მოცულობა, შესაბამისად, 271 მლნ ლარითა და 250 მლნ ლარით. ამასთან, 200 მლნ ლარზე მეტით იზრდება დანარჩენი სექტორებისა და ენერგეტიკის დარგების დაფინანსება, შესაბამისად, 268 მლნ ლარით და 207 მლნ ლარით.

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის კაპიტალურ დანართს დაემატა 5 ახალი კაპიტალური პროექტი, რომელთათვისაც 2026 წლისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი ჯამურად 248 მლნ ლარია.⁴¹ აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის კანონპროექტთან ერთად წარმოდგენილი არაა აღნიშნული პროექტების PIM მეთოდოლოგიით ჩატარებული შეფასებები.⁴² მოცემული პროექტების მასშტაბურობისა და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, აღნიშნული შეფასებები თან დაერთოს კანონპროექტის გადამუშავებულ ვარიანტს.

კაპიტალურ დანართში ასევე იდენტიფიცირებულ იქნა 3 ისეთი პროექტი, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით, თუმცა 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის მიხედვით, მათ განსაზღვრული აქვთ 2025 წლის გეგმები, ჯამურად 474 მლნ ლარის ოდენობით. აღნიშნულ პროექტებზე⁴³ დახარჯულმა თანხამ 2025 წლის 8 თვის მდგომარეობით 136 მლნ ლარი შეადგინა (წლიური გეგმის 29%).

⁴¹ ხელოვნური ინტელექტის განვითარება (24 08 02 02) – 2026 წლის გეგმა 10 მლნ ლარი; სააგენტოს ადმინისტრაციული ოფისის და საკვალიფიკაციო ცენტრის მშენებლობა (24 27 02) – 2026 წლის გეგმა 10 მლნ ლარი; ქობულეთის შემოვლითი საავტომობილო გზის მეორე ზოლის მშენებლობა (ADB) (25 02 03 16) – 2026 წლის გეგმა 15 მლნ ლარი; ქალაქ ხაშურის წყალარინების სისტემების მომსახურების გაუმჯობესება (AFD) (25 04 05) – 2026 წლის გეგმა 19.5 მლნ ლარი; სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-მშენებლობა (25 07 02) – 2026 წლის გეგმა 193.5 მლნ ლარი.

⁴² ასევე, დოკუმენტი არ არის ხელმისაწვდომი ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე: https://www.mof.ge/ka/fl/sainvestitsio_proektebis_martva_PIM_?page=1


⁴³ ქ. თბილისში ახალი საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა (25 07 01) – 2025 წლის გეგმა 200 მლნ ლარი, ფაქტობრივი ხარჯი 5.3 მლნ ლარი; იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების სოციალური და საცხოვრებელი პირობების შექმნა (27 06 03) – 2025 წლის გეგმა 240 მლნ ლარი, ფაქტობრივი ხარჯი 125 მლნ ლარი; საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტი (WB) (31 06 03 01) – 2025 წლის გეგმა 33.6 მლნ ლარი, ფაქტობრივი ხარჯი 5.2 მლნ ლარი.

საქართველოს მთავრობის №65 დადგენილებით⁴⁴ „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“, იმ პროექტის დაფინანსება, რომლისთვისაც რესურსის მოძიება შესაძლებელია პროექტის საბოლოო შერჩევისთანავე (მაგ: შესაბამისი წლის ბიუჯეტში არსებული ეკონომიით ან დამატებითი რესურსით), შესაძლებელია განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ასეთი პროექტი BDD დოკუმენტში საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების ჩამონათვალში აისახება, დოკუმენტის შემდგომი განახლებისას. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია, მსგავსი მასშტაბის პროექტებისთვის ფინანსური რესურსის გამოყოფა განხორციელდეს შესაბამისი წლის ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე. ამასთანავე, საჯარო ინვესტიციების მართვის უკეთესი პრაქტიკების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, პროექტებმა სრულად გაიარონ წინასწარი შეფასებისა და საბოლოო შეფასების პროცედურები სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ასახვამდე.

კანონპროექტის კაპიტალურ დანართში არ არის წარმოდგენილი *თბილისის ახალი საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობა* (24 06 05 02), რომლის გეგმაც 2026 წლისათვის 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით 100 მლნ ლარს შეადგენდა. ფინანსთა სამინისტროს განმარტებით, აღნიშნული პროექტი განხორციელდება კერძო ინვესტიციით. შესაბამისად, იგი აღარ წარმოადგენს სახელმწიფო კაპიტალური პროექტების ნაწილს.

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის კაპიტალური პროექტების დანართში მოცემული პროექტებიდან 66 პროექტი ასევე წარმოდგენილია 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კაპიტალურ დანართშიც. პროექტების საშუალოვადიანი გეგმების შედარებით ირკვევა, რომ 2025 წლის გეგმებს არსებითი ცვლილება არ განუცდია.⁴⁵ მნიშვნელოვნად შეიცვალა 2026 წლის და შემდგომი პერიოდის გეგმები. კერძოდ, 2026 წლის გეგმა შეეცვალა 61 პროექტს, რაც კაპიტალური პროექტების დაგეგმვისა და მართვის პროცესში არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს.

დიაგრამა 22. კაპიტალური პროექტების რაოდენობები შესაბამისი წლების გეგმების ცვლილებების კონტექსტში, 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონთან შედარებით.



⁴⁴ [„საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 11, პუნქტი 6](#)

[საქართველოს მთავრობის დადგენილება №468.](#)

⁴⁵ შეიცვალა მხოლოდ *ქვემო ქართლის ნარჩენების მართვის პროექტის* (EBRD, SIDA) (31 16 02) 2025 წლის გეგმა (გაიზარდა 3 მლნ ლარით).

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული იმ 38 კაპიტალური პროექტის შემთხვევაში, რომელთა ბიუჯეტის ათვისება როგორც წლიურ, ასევე 9 თვის დაზუსტებულ გეგმებთან მიმართებით 70%-ზე ნაკლებია, 14 პროექტს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტით ეზრდებათ დაფინანსება 2026 წლისათვის, ჯამურად, 835 მლნ ლარის ოდენობით.


კაპიტალურ პროექტებთან დაკავშირებულ საკითხებზე, როგორებიცაა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში მათი სრულფასოვანი ასახვა, საშუალოვადიანი გეგმების ხშირი და მასშტაბური ცვლილებები და ათვისების კუთხით არსებული გამოწვევები, ყურადღება იქნა გამახვილებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინა ანგარიშებშიც.

5. სახელმწიფო ვალი და მთავრობის ვალი

5.1. სახელმწიფო ვალი

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტით სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 39.2 მლრდ ლარის ოდენობით განისაზღვრა (მშპ-ს 35.5%), რაც 2025 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 2.8 მლრდ ლარით (7.6%-ით) აღემატება. სახელმწიფო ვალის ზრდა გამოწვეულია, როგორც საშინაო, ასევე საგარეო ვალის მატებით. კერძოდ, წარმოდგენილი პროგნოზებით საშინაო ვალის მოცულობა იზრდება 1.6 მლრდ ლარით (14%-ით), ხოლო საგარეო ვალი - 1.1 მლრდ ლარით (4.6%-ით). საშინაო ვალის ზრდის შედეგად, საგარეო ვალის წილი მთლიან სახელმწიფო ვალის პორტფელში 66.4%-მდე მცირდება (26 მლრდ ლარამდე).

დიაგრამა 23. სახელმწიფო საგარეო და საშინაო ვალის ნაშთის დინამიკა წლების მიხედვით (მლრდ ლარი; % - წილი სახელმწიფო ვალში).




* აღნიშნავს პროგნოზს

5.2. მთავრობის ვალი

კანონპროექტით 2026 წლისთვის მთავრობის ვალის⁴⁶ საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 38.6 მლრდ ლარის დონეზეა განსაზღვრული (მშპ-ს 34.9%), რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 3 მლრდ ლარით (8.3%-ით) აღემატება. მთავრობის ვალის ზრდაში საგარეო ვალის წილი 3.8%-ია, ხოლო საშინაო ვალის - 4.5%.

დიაგრამა 24. მთავრობის ვალის ნაშთის მოცულობა და მისი ფარდობა შესაბამისი წლის მშპ-სთან (მლრდ ლარი; %).



* აღნიშნავს პროგნოზს.

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია და მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის განახლება განახორციელა საშუალოვადიანი ბიუჯეტირების დოკუმენტებთან ერთად, უშუალოდ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის მომზადებამდე.

წარმოდგენილი კანონპროექტით, მთავრობის ვალის მშპ-სთან ფარდობის საპროგნოზო მაჩვენებელი 2026 წლისთვის არსებითად შესაბამისობაშია 2025-2029 წლების „მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიით“ განსაზღვრულ მიზნობრივ ნიშნულთან. კერძოდ, მთავრობის ვალის მშპ-სთან ფარდობის საპროგნოზო მაჩვენებელი 2026 წლისთვის (34.9%) 0.1 პ.პ.-ით ნაკლებია სტრატეგიით განსაზღვრულ პარამეტრზე.

კანონპროექტსა და სტრატეგიას შორის განსხვავება ფიქსირდება საგარეო და საშინაო ვალის წმინდა ზრდის მაჩვენებლებში. კერძოდ, 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტით განსაზღვრული საპროგნოზო მაჩვენებელი საგარეო ვალის წმინდა ზრდის შემთხვევაში 253 მლნ ლარით ჩამორჩება, ხოლო საშინაო ვალის წმინდა ზრდა 200 მლნ ლარით აღემატება სტრატეგიით განსაზღვრულ ნიშნულებს 2026 წლისთვის. ასევე, მთავრობის ვალის და

⁴⁶ „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიზნებისთვის, მთავრობის ვალი მოიცავს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო ვალს IMF-ის მიმართ ეროვნული ბანკის ვალის გამოკლებით და დამატებით მოიცავს მუნიციპალიტეტების, სსიპ-ებისა და სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების სესხების სახით არსებულ ვალდებულებებს.

ნომინალური მშპ-ს მოცულობა, შესაბამისად, 551 მლნ ლარითა⁴⁷ და 2 მლრდ ლარით აჭარბებს სტრატეგიაში ასახულ საპროგნოზო მაჩვენებლებს.

ცხრილი 7. „მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიით“ და 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტით განსაზღვრული ზოგიერთი მიზნობრივი ნიშნულების შედარება 2026 წლისთვის.⁴⁸

ინდიკატორი	სტრატეგიის ნიშნული 2026 წლის ბოლოსთვის	2026 წლის ბიუჯეტის კანონპროექტის პროგნოზი	სხვაობა
მთავრობის ვალი (მლნ ლარი)	38,021	38,572	551
მთავრობის ვალი მშპ-სთან (%)	35.0%	34.9%	-0.1 პ.პ.
საგარეო ვალის წმინდა ზრდა (მლნ ლარი)	790	537	-253
საშინაო ვალის წმინდა ზრდა (მლნ ლარი)	1,600	1,800	200
საგარეო ვალის წილი მთლიან ვალში (%)	65.3%	65.9%	0.6 პ.პ.
საგარეო ვალის შეფარდება მშპ-სთან (%)	22.9%	23.0%	0.1 პ.პ.
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	108,507	110,518	2,011

მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის საბიუჯეტო პროცესში სრულად ინტეგრირებისთვის, მიზანშეწონილია, გაგრძელდეს მუშაობა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტით განსაზღვრული საბიუჯეტო პარამეტრების სტრატეგიით განსაზღვრულ ნიშნულებთან დაახლოების მიმართულებით.

კანონპროექტზე თანდართულია მთავრობის „ვალის მდგრადობის ანალიზის“ დოკუმენტი, რომელშიც განხილულია მთავრობის ვალის დინამიკაზე რეალური მშპ-ს ზრდის, რეალური საპროცენტო განაკვეთის, სახელმწიფო ბიუჯეტის პირველადი ბალანსის, ნომინალური გაცვლითი კურსის, კომბინირებული⁴⁹ და პირობითი ვალდებულებების შოკების ეფექტები. დოკუმენტში წარმოდგენილი ანალიზის მიხედვით, ვალის მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელი საშუალოვადიან პერიოდში ყველა შოკის შემთხვევაში ორგანული კანონით დადგენილი 60%-იანი ნიშნულის ფარგლებშია მოქცეული. მიუხედავად ამისა, ვალის მოცულობა განსაკუთრებით მოწყვლადია ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ. კერძოდ, დოკუმენტში წარმოდგენილი სტრეს-ტესტის მიხედვით, ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის შოკის⁵⁰ შემთხვევაში მთავრობის ვალის მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელი 44.8%-ს აღწევს, მაშინ როდესაც საბაზისო სცენარით მაჩვენებელი 34.9%-ის დონეზეა პროგნოზირებული. შედეგად, სავალუტო რისკი მთავრობის ვალის პორტფელისთვის ძირითად გამოწვევად რჩება.

აღსანიშნავია, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ვალის მდგრადობის ანალიზი ეფუძნება IMF-ისა და WB-ის მიერ 2005 წელს ერთობლივად შემუშავებულ მეთოდოლოგიას, რომლის განახლება განხორციელდა 2014 და 2021 წლებში.⁵¹ განახლებული

⁴⁷ აღნიშნული სხვაობის გამომწვევი ძირითადი მიზეზია გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი.

⁴⁸ მთავრობის ვალის მოცულობა მოიცავს PPP ვალდებულებებს, რომელიც 2026 წლის ბოლოსთვის 1.2 მლნ ლარის ოდენობით არის შეფასებული.

⁴⁹ 2026 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის პირველადი ბალანსის, რეალური მშპ-ს ზრდის ტემპის და რეალური საპროცენტო განაკვეთის საბაზისო სცენარიდან გადახრა 1 სტანდარტული გადახრით.

⁵⁰ ლარის აშშ დოლართან ნომინალური გაცვლითი კურსის ერთჯერადი გაუფასურება 30%-ით.

⁵¹ მეთოდოლოგია წარმოდგენილია შემდეგ ბმულზე:

მეთოდოლოგიით გაფართოვდა ვალის დაფარვის მაჩვენებელი, გაუმჯობესდა სუვერენული რისკების შეფასების ინსტრუმენტები, გაიზარდა პროგნოზირების ჰორიზონტი და მეთოდოლოგია თანხვედრაში მოვიდა IMF-ის დაკრედიტების ჩარჩოსთან.⁵² სახელმწიფო ვალის მდგრადობის ანალიზის გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია, „მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი“ განხორციელდეს IMF-ისა და WB-ის განახლებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყურადღება გამახვილებულ იქნა გასული წლების სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშებშიც.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ იდენტიფიცირებულ იქნა ფასიანი ქაღალდებით მობილიზებული საკრედიტო რესურსის აღრიცხვის არაერთგვაროვანი სააღრიცხვო მიდგომა. კერძოდ, ვალის ნაშთში ევროობლიგაციებიდან მომდინარე ვალდებულებები აღრიცხულია ნომინალური - 500 მლნ აშშ დოლარის ეკვივალენტი ღირებულებით ლარში,⁵³ მაშინ როდესაც სახაზინო ფასიანი ქაღალდებიდან მომდინარე ვალდებულებები აღრიცხება ფასიანი ქაღალდის გაყიდვის დროს ბიუჯეტში შემოსული თანხის ოდენობით (ნაცვლად ნომინალური ღირებულებისა). მთავრობის ვალის შესახებ ზუსტი და შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიზანშეწონილია, ფინანსთა სამინისტროს მიერ გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაცია და შემუშავდეს სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდებით მობილიზებული საკრედიტო რესურსის ერთგვაროვანი სააღრიცხვო მიდგომა, შესაბამისი საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

5.3. მთავრობის ვალის ფარგლებში მისაღები და დასაფარი ვალდებულებები

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტით, საგარეო წყაროებიდან კრედიტების სახით მისაღები ფინანსური რესურსის მოცულობა 3.4 მლრდ ლარის დონეზეა განსაზღვრული, რაც მიმდინარე წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 1.6 მლრდ ლარით (86.9%-ით) აღემატება. კრედიტების მნიშვნელოვანი ნაწილი - 1.4 მლრდ ლარის ოდენობით (41.7%), მიმართული იქნება საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად, რაც 196 მლნ ლარით (16%-ით) მეტია 2025 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების მოცულობა 620 მლნ ლარითაა⁵⁴ განსაზღვრული, რაც საგარეო წყაროებიდან მისაღები ფინანსური რესურსის 18.2%-ს შეადგენს. ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების გეგმა მიმდინარე წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 20 მლნ ლარით (3.3%-ით) არის გაზრდილი.

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტი ითვალისწინებს 500 მლნ აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების ევროობლიგაციის ემისიით საგარეო ვალდებულებების ზრდას

<https://www.imf.org/external/np/pp/eng/2005/070105.pdf>


⁵² [Review of the debt sustainability framework for market access countries](#), IMF, გვ. 3

⁵³ აღნიშნული ფასიანი ქაღალდების გამოშვებით 2021 წელს ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ 497.1 მლნ აშშ დოლარი (1.7 მლრდ ლარი) შეადგინა.

⁵⁴ „მთავრობის ვალის მართვის სტრატეგია“ აღნიშნული ტიპის სესხებზე აწესებს მაქსიმალურ ლიმიტს წელიწადში 250 მლნ აშშ დოლარის ოდენობით.

1.37 მლრდ ლარის ოდენობით. აღნიშნული ემისია 2021 წელს გამოშვებული იმავე ნომინალური ღირებულების მქონე ევროობლიგაციების რეფინანსირებას ემსახურება.

დიაგრამა 25. საგარეო წყაროებიდან მოზიდული კრედიტები მიზნობრიობის მიხედვით (მლნ ლარი).



* აღნიშნავს პროგნოზს.

მთავრობის ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯების⁵⁵ საპროგნოზო მოცულობა 4.7 მლრდ ლარს შეადგენს და 1.6 მლრდ ლარით (50%-ით) მეტია 2025 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. აღნიშნული ზრდა გამოწვეულია საგარეო ვალის ძირითადი თანხის დაფარვის 1.5 მლრდ ლარით⁵⁶ (109.9%-ით) და საშინაო ვალზე საპროცენტო ხარჯის 150 მლნ ლარით (16.7%-ით) ზრდით.

ცხრილი 8. მთავრობის ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები (მლნ ლარი).⁵⁷

	2025 წლის ბიუჯეტის კანონი	2026 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი	ცვლილება 2026-2025
მთავრობის ვალის მომსახურება და დაფარვა	3,155	4,733	1,578
საგარეო ვალის მომსახურება და დაფარვა	2,215	3,643	1,428
ძირითადი თანხა	1,370	2,875	1,505
პროცენტი	845	768	-77

⁵⁵ გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ვალისა და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დაფარული ძირითადი თანხის.

⁵⁶ საგარეო ვალდებულებების ძირითადი თანხის მომსახურების კომპონენტი მოიცავს 2021 წელს გამოშვებული 500 მლნ აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების ევროობლიგაციების დაფარვის ხარჯს 1.37 მლრდ ლარის ოდენობით. ევროობლიგაციების დაფარვის ხარჯის გამორიცხვით, 2026 წელს მთავრობის საგარეო ვალის ძირითადი თანხის დაფარვა 1.5 მლრდ ლარს შეადგენს და მიმდინარე წელთან შედარებით 135 მლნ ლარით (9.9%-ით) იზრდება.


⁵⁷ 2024 წლიდან ფინანსთა სამინისტრო აქტიურად იყენებს ვალდებულებების მართვის (LMO) ოპერაციებს - გამოსყიდვა/გაცვლა. გაცვლა არ წარმოადგენს საკასო ტიპის ოპერაციას და არ ხდება ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან მიღებული და დაფარული თანხების პროგნოზირება. აქედან გამომდინარე 2025-2026 წლების საშინაო ვალის მომსახურებისა და დაფარვის საპროგნოზო მაჩვენებლის ძირითადი თანხა არ მოიცავს ფასიანი ქაღალდების დაფარვის თანხას. ასევე, საშინაო ვალის მომსახურების და დაფარვის კომპონენტის საპროგნოზო მაჩვენებელი 2025-2026 წლებისთვის არ მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯებს.

საშინაო ვალის მომსახურება და დაფარვა	940	1,090	150
ძირი თანხა	40	40	-
პროცენტი	900	1,050	150

გასულ წლებში გლობალური მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების პირობებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მთავრობის საგარეო ვალის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი და 2023 წლის ბოლოს 3.4%-ს მიაღწია. 2024 წლიდან აღნიშნული მაჩვენებელი კლებადი ტენდენციით ხასიათდება და 2025 წლის 8 თვის მდგომარეობით 2.8%-მდე შემცირდა.


საყურადღებოა, რომ მთავრობის ვალის მართვის მოქმედი სტრატეგიით, საგარეო ვალის პორტფელში ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ვალის წილი მინიმუმ 50%-ს უნდა შეადგენდეს. 2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით ეს ნიშნული დარღვეულია და აღნიშნული ტიპის ვალი მთლიანი პორტფელის 46.3%-ს უტოლდება. ამასთანავე, სტრატეგიის ნიშნულსა და ფაქტობრივ მაჩვენებელს შორის განსხვავება მზარდი ტენდენციით ხასიათდება, რაც საპროცენტო ხარჯის მოწყვლადობას გლობალური მონეტარული პოლიტიკის მიმართ მნიშვნელოვნად ზრდის. ამ საკითხზე არაერთხელ გამახვილდა ყურადღება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინა ანგარიშებშიც.

დიაგრამა 26. ცენტრალური ბანკების მონეტარული პოლიტიკის განაკვეთების დინამიკა (30.09.2025-ის მდგომარეობით).⁵⁸




⁵⁸ წყარო : [Bank for International Settlements \(BIS\)](https://www.bis.org/)

დიაგრამა 27. მთავრობის საგარეო ვალის ნაშთი საპროცენტო განაკვეთის სახეების მიხედვით.



დიაგრამა 28. საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მთავრობის საგარეო ვალზე (%).



* 2025 წლის მონაცემი წარმოდგენილია 2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით.

აღსანიშნავია ისიც, რომ უკანასკნელ წლებში, საშინაო წყაროებიდან მობილიზებული რესურსის მოცულობა მკვეთრად ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, რომელსაც საგარეო წყაროებიდან მიღებულ რესურსთან შედარებით მაღალი საპროცენტო ხარჯები აქვს (მაგ. 2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელის საშუალო შეწონილი სარგებლიანობა სიმწიფემდე (Yield to Maturity) შეადგენს 8.8%-ს).

ზემოაღნიშნული ორი მოვლენის ერთდროული ზემოქმედება (გლობალური მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება და საშინაო ვალის წილის ზრდა) უკანასკნელ წლებში მზარდ საპროცენტო ხარჯებში აისახება, რაც მნიშვნელოვან ფისკალურ წნეხს წარმოქმნის სახელმწიფო ბიუჯეტისთვის. ამ თვალსაზრისით, ტენდენცია ნარჩუნდება 2026 წელსაც. კერძოდ, წარმოდგენილი პროგნოზებით, მთავრობის ვალის მომსახურების ხარჯი (პროცენტის ხარჯი) 73 მლნ ლარით იზრდება და 1.8 მლრდ ლარს უტოლდება. მათ შორის, საშინაო ვალის მომსახურების ხარჯი იზრდება 16.7%-ით (150 მლნ ლარით) და 1.1 მლრდ ლარს შეადგენს, ხოლო საგარეო ვალის მომსახურების ხარჯი მცირდება 9.1%-ით (77 მლნ ლარით) 768 მლნ ლარამდე.


მთავრობის ვალის საპროცენტო ხარჯებისთვის დამატებითი წნეხის წყაროს წარმოქმნის საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე გაზრდილი საპროცენტო განაკვეთები, ვინაიდან 2026 წელს დაგეგმილია ევროობლიგაციების ემისია 1.4 მლრდ ლარის ოდენობით, რომლითაც იგეგმება 2021 წლის აპრილში გამოშვებული იმავე ღირებულების ევროობლიგაციების რეფინანსირება. იმის გათვალისწინებით, რომ წინა ევროობლიგაციების გამოშვებისას საპროცენტო განაკვეთების საერთაშორისო 90 დღიანი ბენჩმარკები (Reference Rate) ევროსა და დოლარისთვის, Euribor⁵⁹ და SOFR⁶⁰ განაკვეთები, შესაბამისად, -0.538%-სა და 0.06312%-ს შეადგენდა, ხოლო 2025 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, 2.032%-სა და

⁵⁹ Euro Interbank Offered Rate - <https://www.euribor-rates.eu/en/>

⁶⁰ Secured Overnight Financing Rate - <https://www.newyorkfed.org/markets/reference-rates/sofr>

4.36998%-მდეა გაზრდილი, მოსალოდნელია, რომ 2026 წელს გამოშვებული ევროობლიგაციები არსებულთან შედარებით მაღალი საპროცენტო ხარჯების მატარებელი იქნება.

დიაგრამა 29. მთავრობის ვალის მომსახურების (პროცენტის) ხარჯები (მლნ ლარი), მისი ფარდობა ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებთან (%) და მშპ-სთან (%).⁶¹



* აღნიშნავს პროგნოზს.

2026 წლისთვის მთავრობის ვალის საპროცენტო ხარჯების ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებთან ფარდობის მაჩვენებელი 6.2%-ია, ხოლო მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელი 1.6% (აღნიშნულ საკითხზე დამატებით ასევე იხილეთ ქვეთავი „ფისკალური წესები“).⁶²

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია და განახლებულ მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიაში საპროცენტო განაკვეთის რისკის შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორად დაამატა საპროცენტო ხარჯის შეფარდება მშპ-სთან. აღნიშნული მაჩვენებელი საშუალოვადიან პერიოდში 2%-ს არ უნდა აღემატებოდეს. წარმოდგენილი პროგნოზით, საშუალოვადიან პერიოდში მაჩვენებელი საშუალოდ 1.7%-ს შეადგენს.

⁶¹ 2027-2029 წლების საპროგნოზო მონაცემები ეყრდნობა 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტზე თანდართულ 2026-2029 წლების „ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების“ საბაზო სცენარით ნაერთი ბიუჯეტისთვის განსაზღვრულ მაჩვენებლებს. 2023 წლის ფაქტობრივი მონაცემი ასევე მოიცავს სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული იმ სახელმწიფო საწარმოთა ვალდებულებების მომსახურების ხარჯებს (1.7 მლნ ლარის ოდენობით), რომელიც არ არის აღრიცხული მთავრობის ვალის სტატისტიკაში.

⁶² გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ 2021 წელს ევროობლიგაციების დაფარვისა და ახალი ევროობლიგაციების ემისიის შედეგად მნიშვნელოვნად იქნა შემცირებული აღნიშნულ ვალდებულებაზე მომსახურების ხარჯები. კერძოდ, 2011 წელს ემიტირებული ევროობლიგაციების ყოველწლიური მომსახურების ხარჯი 34.4 მლნ დოლარს შეადგენდა, ახალი ევროობლიგაციების ყოველწლიური მომსახურების ხარჯი კი 13.8 მლნ დოლარია.

2020-2021 წლებში, საპროცენტო ხარჯების ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებთან ფარდობის შედარებით მაღალი მაჩვენებელი ძირითადად გამოწვეულია ამ წლებში ანტიკრიზისული ღონისძიებების გამო საგადასახადო შეღავათების დაწესებით, რის შედეგადაც შემცირდა შესაბამისი წლების ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები.

6. პროგრამული ბიუჯეტი

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტზე თანდართული „პროგრამული ბიუჯეტის დანართი“ მოიცავს ინფორმაციას პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების მოსალოდნელი შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების შესახებ. პროგრამული ბიუჯეტის მომზადება 2012 წლიდან დაიწყო, თუმცა იგი ჯერ კიდევ არ მტკიცდება კანონით და მხოლოდ ინფორმაციულ ხასიათს ატარებს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში გაუმჯობესდა პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და ინდიკატორების შესახებ დანართში წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი, იგი ჯერ კიდევ საჭიროებს შემდგომ სრულყოფასა და დამატებით გაუმჯობესებას. წარმოდგენილი კანონპროექტის პროგრამული ბიუჯეტის ანალიზისას გამოვლინდა შემდეგი სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები:

- **პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში მოსალოდნელი შედეგების ფორმირების პროცესი** - დანართში წარმოდგენილი 123 პროგრამიდან⁶³ 104 პროგრამა (84.6%) არ არის ჩაშლილი ქვეპროგრამებად. ამასთანავე, იმ პროგრამების 84.6%-ში (88 პროგრამა), რომელიც არაა წარმოდგენილი ქვეპროგრამების დონეზე, ერთმანეთისგან არ არის გამიჯნული მიმდინარე და მომდევნო წლების მიზნობრივი მაჩვენებლები, რაც ხელს უშლის ამ პროგრამების შუალედურ და საბოლოო შედეგებს შორის ურთიერთკავშირის დადგენას. აღნიშნული საკითხი ბიუჯეტის წლიური ანგარიშგების ეტაპზე გაართულებს მიღწეული შედეგების შეფასებას მიზნობრივ მაჩვენებლებთან მიმართებით. მსგავსი პროგრამების ასიგნებების ჯამური მოცულობა 6.7 მლრდ ლარია (ჯამური გადასახდელების 21.9%);
- **შუალედური და საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორების შემუშავება** - პროგრამების/ქვეპროგრამების მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგების ნაწილს არ გააჩნია კონკრეტული მიზნობრივი მაჩვენებელი, რაც ანგარიშგების ეტაპზე გაართულებს აღნიშნული პროგრამის/ქვეპროგრამის ეფექტიანობის შეფასებას;
- **ცდომილების ალბათობისა და შესაძლო რისკების განსაზღვრა** - პროგრამული ბიუჯეტის დანართში მოცემული ინდიკატორების 9.1%-ის შემთხვევაში არაა წარმოდგენილი ცდომილების ალბათობა, ხოლო ინდიკატორთა 14.2%-ის შემთხვევაში არაა წარმოდგენილი შესაძლო რისკების შესახებ ინფორმაცია. ამასთან, ინდიკატორების 24.7%-ში, რომელთათვისაც განსაზღვრულია ცდომილების ალბათობა, ალბათობის მაჩვენებელი აღემატება 20%-ს, მითითებულია „დაბალი ალბათობა“, „საშუალო ალბათობა“ ან ცდომილობის ალბათობის ნაცვლად წარმოდგენილია ინფორმაცია შესაძლო რისკებზე.

პროგრამული ბიუჯეტირების კუთხით არსებული ნაკლოვანებების ეტაპობრივი გამოსწორებისა და ამ მიმართულებით საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშგაღებულების ამალგების მიზნით, მიზანშეწონილია, გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია და ფორმალურად განისაზღვროს ქვეყნაში პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილი იქნება რეფორმის ფარგლებში განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები, შესაბამისი ვადებითა და პასუხისმგებელი უწყებებით.

⁶³ პროგრამები, რომელთაც 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტით განსაზღვრული აქვთ ასიგნება.